


საქართველოს



იმისთანა წმინდა საძმომი, ბთბთნიც ბეჭდუბი სიფყვას, ფყდილებით და ჭბბბბით ბბბბის გაცხანა ყუულა უყადბისბბბაგე უსაბაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 16 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 220-225 (5826)

რესპუბლიკა


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

7 ნოემბერს პარლამენტის წინ
მუმიდობიან მომიტინგეთა დაულა
კონსტიტუციით გარანტირებული უპიკრების
თავისუფლების უხეში დარღვევაა

3



პირველი

უახლესი
პრესა

რჩევა
საქართველოს -
როგორ შეინარჩუნოს
დემოკრატიისკენ
აღებული კურსი

FT.com
FINANCIAL TIMES

88

„ვარდების რევოლუციის“
გახუნებული ფერი NIKKEI.NET

თუ პასიურები
ვიქნებით,
სააკაშვილი
ათჯერ
უფრო უარესს
იგამს, ვიდრე
აქამდე ჩაუდენია!..



3

ხელისუფლება, რომელიც ვინც
გაღაშენებას ითმენს, ანაპითარ
თანაბრდობას ან იმსახურებს!



4

ბურჯანაძემ
„იმიდი“
ვერ დააიმიდა

92

აღდგომა და სვალეო

ბათიაშვილს მანა
გაათავისუფლებანო...

2

ხელისუფლება გაბულჩვილდა

პრეზიდენტში
ამნისშიას აქსადაბს

2

ქვეყნდება თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება
და ინფორმაცია ე. თბილისის
2007 წლის ბიუჯეტის 9 თვის
შესრულების შედეგების შესახებ

6-87



დღეიდან საგანგებო
მდგომარეობა უქმდება


გუშინ პარლამენტმა 153 ხმით ორის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა პრეზიდენტის დადგენილებას ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა 16 ნოემბრის 19 საათიდან. რიგგარეშე სენიანა მონაწილეობას ოპოზიციიდან მხოლოდ ახალი მემარჯვებები და მრეწველები იღებდნენ. გაუქმებულმა მთლიანად შეუწყდათ ტელეკომუნიკაცია „იმედი“ და „კავკასიუსი“.

არავინ იცის, როგორი იქნება ხვალინდელი დღე. იგრძნობა, ხელისუფლება აშკარად უფროსის საგანგებო მდგომარეობის შეცვლას, მიუხედავად იმისა, რომ ოკეანისგალმელები კატეგორიულად ითხოვენ ამას. რისი ეშინიათ?

აზრი

ეროვნულმა საბჭომ სწორი ვარიანტი წარმოადგინა

ასამ რომ, თუკი მიხეილ სააკაშვილმა ახლო გარემოცვა არ გამოხშირა, თუკი ხუთიანერამდე თავისი გუნდიდან არ მოიცილა გიგა ბოკერიას, კახა ლომიათა, გიგი უგულავა, გივი თარგამაძე და მათი ნადირაძე, ბრძოლა პრეზიდენტობისთვის წაგებული აქვს. საზოგადოება აღმფრთხილებულია ზემოთ დასახელებული ხუთიანერის კაცობაში, ცინიზმით, ზოგიერთის უფიცობითაც (ლომიათა-ნადირაძე).



გასული კვირის მოვლენებმა - მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევამ და ცრემლსადენი გაზით მოწამვლამ ხალხი არა

პოლიციამ კი კარგად იმუშავა, მაგრამ სპეციალურმა რაზმმა ნამდვილი ჯალათის როლი შეასრულა, მე გამახსენდა 9 აპრილის ტრაგედიის დამე, მაშინაც ქაშვიტის ეკლესიის წინ ვიყავი და აღფრთოვანებული ვუკრავდი ტაშს უშიშარ ქართველებს, რომლებიც რუსთა ჯალათებმა ნიჩბებით დაჩეხეს, მაგრამ ვერ გატყვეს...

უნდა აღვნიშნო ე. წ. ლიმონისფერ „პლაშიანთა“ განსაკუთრებული სისასტიკე, რომლებიც ეკლესიებშიც კი უვარდებოდნენ მოქალაქეებს და როზგავდნენ, აშკარად იგრძნობოდა კონტრასტი შავფორმიან პოლიციასა და ლიმონისფერი-

ბილმა ხალხმა მოითხოვა და ეს ჩემ თვალწინ მოხდა. ისიც კარგად მახსოვს, რომ მომიტინგეთა მოთხოვნას გოგა ხაინდრავამ უპასუხა - პრეზიდენტის გადაყენება არ გვჭირდებაო. მას სხვა ლიდერებიც დაეთანხმნენ, მაგრამ ხალხმა ატყა ყვირილი და არ დაემორჩილა ოპოზიციის წინადადებას. ჩემთვის დღე-საც გაუგებარი რჩება მიტინგზე მოსულთა გადაჭარბებული აგრესიულობა, ერთ ჯგუფს, რომელიც ყვიროდა „ზვიადი, ზვიადი, ზვიადი“, ვუთხარი კიდევაც, რა დროს ზვიადია-მეთქი. როგორ გაბედეო, თავს დამესხნენ და კინალამ გამპუტეს.

არავინ იცის, როგორი იქნება ხვალინდელი დღე. იგრძნობა, ხელისუფლება აშკარად უფროსის საგანგებო მდგომარეობის შეცვლას, მიუხედავად იმისა, რომ ოკეანისგალმელები კატეგორიულად ითხოვენ ამას. რისი ეშინიათ? სწორედ ხელისუფლების ასეთმა საცქიელმა წარმოშვა ეჭვი, რომელიც მემარჯვენეებმა გაახმოვანეს: მიხეილ სააკაშვილმა მზაკვრული აზრი გამოგვიგდო - უახლოეს პერიოდში, 5 იანვრისთვის დანიშნა პრეზიდენტის არჩევნები, მაგრამ როგორ უნდა მოვასწოროთ ამისთვის მომზადება, თუკი საგანგებო მდგომარეობა არ შეიცვლება, ეს მას არ ადარდება. ე. ი. ადვილი შესაძლებელია პრეზიდენტის არჩევნებზე საუბარი ბლევუი იყოს და იგი არ შედგესო. რა თქმა უნდა, ასეთ გაცურებას საზოგადოება პრეზიდენტს არ აპატიებს და 7 ნოემბერი, ვფიქრობ, არაერთგზის განმეორდება... ეს რომ არ მოხდეს, მიხეილ სააკაშვილს სერიოზული დაფიქრება მართებს.

რაც შეეხება ეროვნული საბჭოს არჩევანს - ლევან გაჩეჩილაძის პრეზიდენტობის კანდიდატად და სალომე ზურაბიშვილის პრემიერად წარდგენას, ჩემი აზრით, სწორი არჩევანია.

კლარა აბრამიძე



ხელისუფლება გაგულჩვილდა

თურმე ექიმების დამსახურება, რომ მსხვერპლი არ ყოფილა

ექიმების საქმიანობა და მათი პრობლემები საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს, რომლებმაც ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების დროს ოპერატიულობა და დიდი გამბედაობა გამოიჩინეს.

დეს, რომ ეს ჩემთვის და ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ამ ქვეყნას მართავს, ძალიან მძიმე იყო, - აღნიშნა პრეზიდენტმა. თუმცა, სააკაშვილის თქმით, სახელმწიფო ასეა მოწყობილი. მას აქვს სხვა მოვალეობები და სხვა გამოსავალი, როდესაც ამ მოვალეობის შესრულება უხდება, არ გააჩნია, რადგან ამის ალტერნატივა ქაოსი, არეულობა, საზოგადოების გათიშულობა და სამოქალაქო ომია. საქართველომ ეს პერიოდი უკვე გაიარა. ჩემი უპირველესი მოვალეობა კი ისაა, რომ საქართველო იქ არასოდეს არ დაბრუნდეს. მე ვარ ყველა ქართველის პრეზიდენტი და მათ შორის იმ ხალხის პრეზიდენტიც, ვინც კარგებთან მთლად კარგ ურთიერთობებში არ არის, - განაცხადა სააკაშვილმა. პრეზიდენტმა ამ მხრივ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს განაცხადა, რომ მოქალაქეებისთვის საკუთარი მოქალაქეების, თუნდაც მისი ერთი ნაწილის მიმართ, ძალის გამოყენება უხდება. მინდა ყველამ იცო-

ინტერპრესნიუსი

ცხადდება ამნისტია

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ ნაკლებად მძიმე და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლებულების მიმართ ამნისტია გამოცხადდეს. როგორც სააკაშვილმა განაცხადა, დავალება უკვე გასცა, რათა შესაბამისი კანონპროექტი მომზადდეს. ბიბლიურად აქლემისა და ნემსის ქურდი ერთი და იგივეა. ჩვენ ვთქვით, რომ ერთნაირად უნდა ვებრძოლოთ ასეთ დანაშაულებებს, მაგრამ ახლა „კანონიერი ქურდები“ აღარ არიან, ძირითადი დანაშაული მკვეთრად, 2-ჯერ შემცირდა. ვფიქრობ, ქვედა დონის დანაშაულის საკითხს უნდა გადავხედოთ, რადგან ამ ხალხს სხვანაირი დამოკიდებულება სჭირდება. ციხე არის ყველაზე უარესი ადგილი, რომ მათი გაფუჭება მოხდეს. არაძალადობრივი

მუხლებით ვინც ზის ციხეში, ვუთხარი მომიმზადონ კანონპროექტი. არის ხალხი, ვინც ერთი სარკის მოტყუვისთვის ან ქათმის მოპარვისთვის ზის. შეიძლება მივცეთ ამ ხალხს შანსი, - განაცხადა სააკაშვილმა. მისივე თქმით, ამნისტია არ შეეხება ძალადობრივი კატეგორიის დანაშაულებებს. ამნისტია არ შეეხება მკვლელობისთვის, პოლიციელის შეურაცხყოფისთვის გასამართლებულებს და ასევე კორუფციულ დანაშაულში მსჯავრდებულებს, - განაცხადა სააკაშვილმა. საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ამნისტია პირველად ცხადდება. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ბოლოს ამნისტია ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ე.წ. „ზვიადისტების“ მიმართ გამოცხადდა.

ინტერპრესნიუსი

აღდგომა და ხვალეი...

ბათიაშვილს მალე გაათავისუფლებენო...

ირაკლი ბათიაშვილი პატიმრობიდან, სავარაუდოდ, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის მეორე დღეს გაათავისუფლდება. ამის შესახებ ურნალისტებს ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრმა მამუკა კაციტაძემ განუცხადა. კაციტაძის ინფორმაციით, მსგავსი შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართული მოლაპარაკებისას შედგა. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, ხელისუფლებიდან არსებობს არგუმენტები, რომ მანამდე ტექნიკურად ეს ვერ მოხერხდება, რომ ირაკ-

ლი ბათიაშვილის საქმეს მესამე ინსტანცია სამართლოში გავლილი არ აქვს და იგი არც შეწყალებას ითხოვს. კაციტაძე არ გამორიცხავს, რომ მანამდე რაიმე ტექნიკური საშუალებაც კი შეიქმნას კანონთან დაკავშირებით, რათა ირაკლი ბათიაშვილი ციხიდან გამოუშვან. მისივე ინფორმაციით, სავარაუდოდ, ირაკლი ბათიაშვილი ვერ მოხვდება იმ ამნისტიაში, რომელსაც პრეზიდენტი აცხადებს.

ინტერპრესნიუსი

ბათუმი უკანასკნელმა რუსულმა სამხედრო ეზელონმა დატოვა

სამხედრო ინვენტარითა და ტექნიკით დატვირთული ბოლო რუსული ეშელონი საქართველოდან, კერძოდ ბათუმიდან წახელდა. ბათუმის მეთორმეტე რუსული სამხედრო ბაზა კი ქართულმა მხარემ სამი დღის წინათ ჩაიბარა. სამხედრო ობი-



ექტების მიღება-ჩაბარების აქტს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ბათუ ქუთელიამ და ამიერკავკასიაში რუსეთის ფედერაციის ჯარების დაჯგუფების სარდალმა ანდრეი პოპოვმა მოაწერეს ხელი. მხარეთა შორის ადრე მიღწეული შე-

თანხმების თანახმად, რუსული ბაზა 2008 წლის ბოლომდე უნდა დაცლილიყო, თუმცა მეზობელ ქვეყნების შორის არსებული ვითარების გამო რუსეთმა ბაზების გაყვანის პროცესი დააჩქარა.

ინტერპრესნიუსი

● მთელი მსოფლიო ჩართულია „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენის საქმეში, მაგრამ ხელისუფლება აცხადებს, რომ მას არ აინტერესებს, რას ლაპარაკობენ მასზე



● ხვა - არის გასაგონად

საპარლამენტო არჩევნები - მხოლოდ აპრილში

დავესაძახებ დიდ პოეტს: „ავს რომ ავი არ ვუნოდო, კარგს სახელად რა დავარქვა“

სანამ ქვეყანაში არ აღდგება კანონიერება, ყოველთვის იქნება ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა.

არსებობს მოუგვარებელი პრობლემა, თუ იქნება მისი შესრულების ნება. სამწუხაროდ, ეს დღეს არ შეიძლება. დაუშთავრებელი დავა უარყოფითად აისახება დღევანდელ ისედაც რთულ ყოფით პირობებზე, რის შედეგად ნოყიერი ნიადაგი იქმნება სხვა ქვეყნების ზრახვების განსახორციელებლად.

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, მისაღები იქნება მისი მხოლოდ გაზაფხულზე გამართვა.

ვიმედოვნებ, ორივე მხარე დაიცავს თანამშრომლობის პრინციპებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ლარი ჩაჩიანი, მპს გექნიკის-გექნოლოგიის ეკონომიკისა და მართვის პრობლემების დანერგვის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი.

● ოპოზიცია

ზვიად ძიძიგური: თუ პასიურები ვიქნებით, სააკაშვილი ათჯერ უფრო უარესს იზამს, ვიდრე აქამდე ჩაუდენია!

კონსტიტუციური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური მიიჩნევს, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარების არავითარი გარანტია არ არსებობს. როგორც ძიძიგურმა „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადა, თუ ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნების ფალსიფიკაციას მოახდენს, სახალხო გამოსვლების ახალი ტალღა გარდაუვალია.

— დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების არავითარი გარანტია არ არსებობს. პირიქით, ლაპარაკია საპრეზიდენტო კოდექსის გაუარესებაზე. არის საუბარი, რომ ტელეკომპანია „იმედი“ არ აღდგება. ეს ლაპარაკი მიდის რეპრესიების ფონზე, აბატირებენ და პასუხისმგებლობაში აძლევენ მიტინგის მონაწილეებს, თითქოს ისინი ხულიანები ან სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეები იყვნენ. ეს სრულიად გაუსაძლისი მდგომარეობაა და ასეთი ღონისძიებები ხორციელდება სამართალდამცავების მხრიდან. ოპოზიციას ერთადერთი გზა აქვს — ეს არის სახალხო მანიფესტაციების, მიტინგების, სახალხო გამოსვლების გზა. თუ ხალხი არ ჩაერთო ამ პროცესებში, ბუნებრივია, ბოკორიასთან ჩვენი წარმომადგენლის საუბრით ეს პრობლემები არ მოგვარდება.

— რა ბერკეტები შეიძლება გამოიყენოს ოპოზიციამ ხელისუფლების ოპონირებისთვის?

— ჩვენ სხვა არავითარი ბერკეტი არა გვაქვს, გარდა ხალხის მხარდაჭერისა. ჩვენ არა ვართ ხელისუფლებაში და სხვა ბერ-

კეტს არ ვფლობთ. საერთაშორისო ორგანიზაციები ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ, მაგრამ ისინიც გარკვეულ ზღვრამდე იმოქმედებენ. მთელი მსოფლიო ჩართულია „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენის საქმეში, მაგრამ ხელისუფლება აცხადებს, რომ მას არ აინტერესებს, რას ლაპარაკობენ მასზე. აქედან გამომდინარე, გვრჩება ერთადერთი ბერკეტი — მოსახლეობის მხარდაჭერა. თუ ეს მხარდაჭერა იქნება, ჩვენ მივალნვეთ დემოკრატიულ არჩევნებსაც და გამარჯვებასაც, თუ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ამ ადამიანების მოსყიდვა. თუმცა უნდა გითხრათ, რომ დაიწყო მოსყიდვის დიდი კამპანია. მეცნიერებათა აკადემიას უკვე დაუწყეს მოფერება, ხელვახების დარჩება. ყველას ვულოცავ, რომ ეს ნაბიჯი გადავადგმევინეთ ხელისუფლებას, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ავად მიაწვდეს 5 იანვარს თავი შეიკა-

5 იანვრის არჩევნების სამართლიანად ჩატარების გარანტია არ არის

კანდიდატურა ჩვენი დასავლელი კოლეგებისათვის. არის გაბედული ადამიანი და არის გარანტი იმისა, რომ ის სწორედ საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართულებით წავა და საბოლოოდ ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მმართველობაზე გადავა.

— რაც შეეხება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, რომელიც გაერთიანებულმა ოპოზიციამ მომავალ პრეზიდენტად დაასახლა, ხომ არ იყო მისი რეიტინგი გამოყენებული ლევან გაჩეჩილაძის სასარგებლოდ?

— სალომე ზურაბიშვილს აქვს სერიოზული საერთაშორისო ურთიერთობები და ეს ურთიერ-

ობები ძალიან გვჭირდება. ის ხვალ გეგმავს წავლას ევროპაში, სადაც შეხვედბა ევროპის დიპლომატიური წრეების წარმომადგენლებს, ჩააყენებს საქმის კურსში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან და ჩვენს გეგმებთან დაკავშირებით. პრეზიდენტიც და პრემიერის თანამდებობა იქნება დროებითი, საპარლამენტო არჩევნებამდე და ეს კანდიდატურები არის მხოლოდ გარდამავალი დატვირთვის მქონე.

— გაერთიანებულმა ოპოზიციამ დააყენა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტისა და პრემიერის თანამდებობებზე. ოპოზიციის რიგებში ხომ არ არის უკვე გადანაწილებული მინისტრის პორტფელები, მაგალითად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ თავდაცვის მინისტრის პოსტზე დაინიშნებით.

— თანამდებობის გადანაწილებაზე საუბარი არ ყოფილა. ჩვენ თვითონ ვიყავით წინააღმდეგი, რომ საბჭოში ამ თემებზე გვესაუბრა, რადგან ამაზე საუბარი ძალიან ნაადრევია. მთავარია, რომ 5 იანვარს მივალნოთ თანაბარ სასტარტო პირობებს და შემდეგ გავიმარჯვოთ.

ესაუბრა რიტა ყაველაშვილი X0-308-360

● განცხადება

ახალგაზრდა იურისტები ძალადობას გამობენ

7 ნოემბერს პარლამენტის წინ მშვიდობიან მომიტინგეთა დასლა კონსტიტუციით გარანტირებული უპირობო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე გიორგი ჩხეიძე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. მიმართვა დაეგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსს, საელჩოებსა და მედიასაშუალებებს.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 7 ნოემბერს მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევას გამოხს, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლების უხეშ დარღვევას! საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი აღიარებს ადამიანთა უფლებას წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა შეკრებისა და მანიფესტაციისთვის არ ითვალისწინებს ნებარ-

თვის აღების ვალდებულებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეკრება იმართება ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას, შეკრების ორგანიზატორებს ვალდებულება ეკისრებათ წინასწარ, 5 დღით ადრე, შეატყობინონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რომელსაც თავის მხრივ ვალდებულება ეკისრება უზრუნველყოს შეკრების უსაფრთხოება.

კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და პოლიციის ორგანოებს უფლებას აძლევს შეწყვიტოს შეკრება ან მანიფეს-

ტაცია, რომელიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით იმართება.

საქართველოს პარლამენტის წინ ან 2 ნოემბრიდან მოქალაქეები მშვიდობიანად ახორციელებდნენ მათთვის მინიჭებულ კონსტიტუციურ უფლებას — შეკრების თავისუფლებას და გამოხატვის თავისუფლებას.

7 ნოემბერს, დილის საათებში მოხდა პოლიციის თანამშრომლების მიერ პარლამენტის შენობის წინ (ხალხის და არა ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას) მყოფ მომიტინგეთა ძალიან დასლა.

არც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან და შემდგომში არც თბილისის მერიის მხრიდან არ დასახელებულა კანონის არც ერთი დებულება, რომელიც დაირღვა და აძლევდა ხელისუფლების ორგანოს შეკრების შეწყვეტის უფლებას აძლევდა. მომიტინგეთა სურვილი, მომავალში შეკრების ადგილას დაეღვათ კარები, თავისთავად არ წარმოადგენს კანონის დარღვევას და პოლიციისა თუ თვითმმართველო-

ბის ორგანოს წარმომადგენლებს უფლებას არ აძლევდა ფიზიკური ძალის გამოყენებით შეწყვიტათ შეკრება, რადგან აღინიშნებოდა კანონის დარღვევა.

საიას კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია შეკრების დაშლის დროს ადგილზე მომუშავე შურნალისტებისთვის ხელის შეშლა (მათ შორის კამერის წარანტირებულია — მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე ცნობების მიღებასა და გავრცელებაში ხელის შეშლა ისევე, როგორც სისხლის სამართლის კანონით).

დემოკრატიულ საზოგადოებაში გამომხატვის თავისუფლება ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა, ხოლო მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება გამოხატვის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი ფორმა.

7 ნოემბერს მშვიდობიანი მომიტინგეთა დასლა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას.

საიას ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდებთ, ადევნებდნენ რეაგირება მოახდინოს შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვაზე, კანონის წინაშე პასუხი აგონ იმ თანამდებობის პირებმა, რომელთა გადაწყვეტილებების შედეგად მოხდა ამ ფუნდამენტური უფლების შელახვა, — ვკითხულობთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალურ განცხადებაში.

ილია მარტყოფილი

● რუსეთი უარყოფს

„სამართლებლო სელის უფლებებზე ისმუ რაღაც აური“


რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი იური ბალუევსკი აფხაზეთში რუსული სამხედრო ტექნიკის შეყვანას კატეგორიულად უარყოფს. ამის შესახებ სააგენტო „იტარტასი“ იუწყება.

ეს განცხადება ბალუევსკიმ ბრიუსელში რუსეთის ნატოს საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც საკუთარ ხალხზე ხელის აწევა გაბედა, ალბათ, ისევ რღაც აური. პირიქით, რუსეთის თავისი სამხედროები საქართველოდან გამოიყვანეს და საქართველო ბოლო ემელონმა 15 ნოემბერს დატოვა, — განაცხადა ბალუევსკიმ.

აფხაზეთში, ოჩამჩირის სამხედრო ბაზაზე რუსეთის მიერ სამხედრო ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის შეყვანის შესახებ ქართულმა მხარემ ინფორმაცია სამი დღის წინათ გაავრცელა.

ინტერპრესნიუსი



ბრმა რომ ბრმა, ისიც ნათლად ხედავს, რომ საქართველო დღეს დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა. არადა, ხალხის რჩეულმა, უმრავლესობად, ან კი უკვე უმცირესობად კურთხეულმა გულნამცეცა პარლამენტარებმა ამის დანახვა არ ისურვეს

© განგაზის ზარი!

ხელისუფლება, რომელიც პრის გადაშენებას ითმენს, არაპიტიარ თანაბრობას არ იმსახურებს!

ბრმა რომ ბრმა, ისიც ნათლად ხედავს, რომ საქართველო დღეს დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა. არადა, ხალხის რჩეულმა, უმრავლესობად, ან კი უკვე უმცირესობად კურთხეულმა გულნამცეცა პარლამენტარებმა ამის დანახვა არ ისურვეს.

რომორ ვიფიქრებდი, რომ საჯაროდ მაინც იმ კეთილშობილური ინიციატივის წინააღმდეგ წავიდოდნენ, რაც ოპოზიციამ, როგორც იქნა, გაბედა და საქვეყნოდ აღიარა.

თუმცა, ამ საკითხს „საქართველოს რესპუბლიკამ“ მრავალი მწვავე სტატია მიუძღვნა, გამოსმაურებაც დიდი ჰქონდა, მაგრამ...

ზოგიერთი პარლამენტარი თავგადაკლული რომ ამტკიცებს, ეკონომიკური დახმარება საქმეს ვერ უშველისო, რაო, მარტო პარლამენტარებს სჭირდებათ ფული, ყოველ წელს რომ იზრდიან ხელფასებს და ამას გარდა აქეთ პრეზიდენტის, იქით სოციალური დახმარების ფონდიდან ათასგვარი მიზნებით იწერენ თანხებს?!

სინამდვილეში, დემოგრაფიული პრობლემის უსწრაფესად გადაჭრის ერთ-ერთი და არა ერთადერთი გზა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაშია. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, კომუნისტების ხანაში, როდესაც ქართველ ერს თითქოსდა არც უჭირდა დემოგრაფიულად (ხუთ მილიონნახევრიან მო-

სახლეობაში 3 მლნ 664 ათასი ქართველი იყო), მთავრობა გრძნობდა, რომ პროცენტული შეფარდების თვალსაზრისით ერი კლებისკენ მიდიოდა (თუმცა მაშინდელი კლება დღევანდელთან რა მოსატანია) და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება ჩამოაყალიბა. ამის აუცილებლობა კი ნათლად იგრძნობოდა, რადგან შობადობის კლება საგრძნობი იყო.

რუსთაველი ამ საზოგადოების ხელმძღვანელად მე ამირჩიეს. თავიდან საზოგადოებაში 210 მრავალშვილიანი დედა განვერიანდა. რადგან სამშვილიანი დედები ბევრი იყო, ჩვენ, ფონდის შესაძლებლობების გათვალისწინებით, 4 და მეტშვილიან დედებს ვუნვედით დახმარებას.


მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ცხოვრება არ ჭირდა (დღევანდელივით შედარებით, რა თქმა უნდა), ძირითადი აქცენტი მაინც ეკონომიკურ პრობლემებზე გადავიტანეთ, რადგან, თავისთავად ცხადია, მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილ ბავშვს მაინც ყველაფერი საზიარო და, აქედან გამომდინარე, არასაკმარისი აქვს და საცხოვრებელი ფართიც ვინროა ჭარბი წევრებისათვის, მით უმეტეს იმ მრავალსართულიან კორპუს-

სებში, კომუნისტური მთავრობა რომ იმეტებდა ხალხისთვის. ამდენად, ერთგვარი საზოგადოებრივი ბალანსის მიღწევას მათთვის ეკონომიკური დახმარებით ვცდილობდით.

გვეხმარებოდა ქალაქის ხელმძღვანელობა, ანგარიშზე გვირიცხავდნენ თანხებს, მხარში დაგვიდგნენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც. მრავალშვილიან დედებს ვაკმაყოფილებდით საცხოვრებელი ბინებითაც, მათთვის აღმასკომი ყოველთვის გამოგვიყოფდა მსუბუქ ავტომანქანებს, ავეჯს და სხვა საჭირო საქონელს, რისი დეფიციტიც იყო ქვეყანაში. დემოგრაფიული საზოგადოების დაფუძნებიდან მესამე თუ მეოთხე წელს მისი წევრების რაოდენობა გაორმაგდა.

რუსთაველ ნოდის, რკინიგზელ ინიჩინერს, 13 შვილი ჰყავდა, ნათენაძეებისა და ქებაძეების ოჯახებს - 11-11 შვილი, გეგეშიძეებს - 9 შვილი, შვიდ და ნაკლებშვილიანები კიდევ ბევრი იყო. ჩვენც გვეამაყებოდა მათი ოჯახების სიმრავლე და აკი სახელმწიფო ასეთ გამორჩეულ დედებს გმირი დედის წოდებითაც აჯილდოებდა.

დემოგრაფიული საზოგადოება ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდშიც დიდ როლს ასრულებდა. მხოლოდ შემდგომმა ხელისუფლებამ გამოუთხარა ძირი ამ დიდ მამულიშვილურ საქმიანობას, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლე-



ბამ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალი ილია ბეგიაშვილი დაიჭირა კიდევაც. ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ამ პრობლემაში სამღველოების პირდაპირი ჩარევაც არ იქნება მართებული. ეკლესია ისედაც მოვალეა ამ საქმეზე იზრუნოს და ზრუნავს კიდევ. ვერც უშუალოდ ხელისუფლება იკისრებს ამ საქმის გაძღოლას. არადა, ველოსიპედს ხელახლა გამოგონება არ სჭირდება.

უნდა აღდგეს დემოგრაფიული საზოგადოება, რომელსაც აქვს თავისი პროგრამა, დებულება და უკვე ცხოვრებაში გამოცდილი წესდებით ისე მძღვანელებს. საქართველოში პრიორიტეტები უნდა მიეცეს იმ რეგიონებს, სადაც ყველაზე რთული დემოგრაფიული სიტუაციაა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საჩხერის რაიონში ქველმოქმედი პიროვნების ბიძინა ივანიშვილის წყალობით ეს პრობლემა მოგვარებულია. არც ქვემო ქართლი საჭიროებს განსაკუთრებულ პირობებს, მაგრამ არა ქართული საქმის სასარგებლოდ. თუ საქართველოში შობადობა ასე თუ ისე ნორმალურია, ეს ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობის წყალობაა.

ამდენად, დემოგრაფიული საზოგადოებები უნდა იღებდნენ ხელისუფლებისადგიან ფინანსურ მხარდაჭერას, ხოლო ისინი ქმნიდნენ მრავალშვილიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

დღეს ათასობით ახალგაზრდა და დასაქორწინებელი, მათ სჭირდებათ სამუშაო, ბინები,

თანადგომა, რასაც დემოგრაფიული საზოგადოება ხელი-სუფლებასთან ერთად უნდა აგვარებდეს.

ერთი სიტყვით, ხელისუფლებამ დემოგრაფიული საზოგადოების სახით უნდა შექმნას ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს მრავალშვილიანობისათვის საჭირო ატმოსფეროს. მე ამ წინადადებით მივმართე რუსთაველის ხელისუფალთ. სკრებულოც და მერიც ხომ ხალხის არჩეულია, მაგრამ...

ქართველ დედებში უხვად არის ის ღვთიური მადლი, რასაც მრავალშვილიანობისკენ სწრაფვა ჰქვია და პატრიოტიზმიც, რომელიც ერის სიმრავლის თემის პირდაპირპროპორციულია მათ წარმოდგენებში. ასე იყო საუკუნეების მანძილზე და ეს გადაარჩენს ქართველობას დღესაც, ამ გაუსაძლის დროში. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მზრუნველი დედა ვერ შეურიგდება ინერტულობას, როცა შვილს შია ან სხვა პირველი მოხმარების საგნები არ აქვს. სწორედ შესაბამისი პირობების შექმნა და მატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ევალება სახელმწიფოს, რომ ერს გასაქანი, არსებობისათვის კეთილსაიმედო გარემო შექმნას. ამდენად, დასაფიქრებელი ბევრი რამაა. დრო არ ითმენს, ეს ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომლის გადაწყვეტაზეც დღეს უნდა ვიფიქროთ, თორემ ხვალ იქნება ძალიან გვიან.

გივი ჯახუა,
ქალაქ რუსთავეის დემოგრაფიული საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარე

© გაურკვეველობა

რამდენად მართებულია?

ამ დღეებში ტელევიზორზე გამოტანილმა ერთმა მომენტმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, და მინდა გაჩენილი ეჭვის გაზიარება მკითხველისთვის.

ერთი ახალგაზრდა ტელეჟურნალისტი ქალბატონი ეკითხება ქალბატონ პარლამენტის თავმჯდომარეს - მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარს ვის დაუჭერთო. სპიკერი უპასუხებს: განათქვემ თვითონაც არ იცით, ვის დაუჭერთ? რასაკვირველია, ჩვენს ახლანდელ პრეზიდენტს და, ვფიქრობ, საზო-

გადოების დიდი ნაწილიც ასე მოიქცევაო.

ჩემი ეჭვი კი ისაა, რომ გინდაც წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად იყოს გახსნილი (არადა ჯერ არაა ხომ?), რამდენად მართებულია ქვეყნის მეორე პირისაგან საჯაროდ ასეთი განცხადება, თანაც ამომრჩეველთა დიდი ნაწილისათვის მონოდებითაც?! რასაკვირველია, მისი პირადი საქმეა, ხმას ვის მისცემს, ოღონდ რამდენად კორექტულია პარლამენტის თავმჯდომარისათვის საჯაროდ ასეთი აგიტაცია? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ტელეჟურნალისტსაც არ უნდა დაესვა, ჯერ მაინც, მსგავსი შეკითხვა საეკრანოდ, თუმცა ჩვენი ტელეჟურნალისტიკის პროფესიული დონის გათვალისწინებით ეს არცთუ გასაკვირია...



თაგაზ ვახანიძე

© ლაპარაკი ლაპარაკსა...

უნდა აღიარონ აფხაზეთში ეთნოწმენდა



საქართველოში გაეროში რეზოლუციის პროექტი შეიტანა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ეთნოწმენდის მსხვერპლად აღიარებას მოითხოვს.

რეზოლუციის პროექტის გაეროში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას მიერაა შედგენილი. დოკუმენტში ნათქვამია, რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გამო მისი დატოვება მილიონნახევარზე მეტ ადამიანს მოუწია და უკან დაბრუნების შემთხვევაში მათ დღემდე არა აქვთ უსაფრთხოების გარანტია.

წარდგენილ რეზოლუციაში საქართველო ასევე სთავაზობს საერთაშორისო საზოგადოებას აღიაროს აფხაზეთში კონფლიქტამდე არ-

სებულები დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლის მიუღებლობა, მათ შორის იქ ადრე არამაცხოვრებელთა ჩასახლების ხარჯზე.

საქართველო წარმოდგენილ დოკუმენტში ასევე მოუნოდებს ყველა სახელმწიფოს, არ დაუშვას აფხაზეთის ტერიტორიაზე საკუთარი მოქალაქეების მიერ რაიმე სახის ქონების შექმნა, ახსენებს რა რომ მათზე დასაკუთრების უფლება დევნილ მოსახლეობას ეკუთვნის.

რეზოლუციის პროექტში ასევე საუბარია დევნილთა „სწრაფი დაბრუნების შესახებ“ ახალი გეგმის შემუშავებაზე.

XII-018-ენი

მხარს უჭირენ ტერიტორიული მილიანობის აღდგენას

თურქეთში აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების მომხრეა. სააგენტო „ტრენდის“ ცნობით, ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა საქართველოს პრემიერთან ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ერდოღანის განცხადებით, თურქეთი „საქართველოს ერთიანობას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას უჭერს მხარს“.

მან კმაყოფილება გამოთქვა თურქეთის ხელისუფლების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შესახებ საქართველოს პარლამენტის გადანაცვლების გამო.

ინტერპრესიუსი

შეუძლებელია ვინმეს წამოსცდეს - ქართველი გლეხი ზარმაციაო. ჩვენი გუთნისდებები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა შიმშილისგან იხსნან ოჯახები, გადაარჩინონ შვილები, მოხუცი მშობლები, ახლობლები

© ხსოვნის კვირეული

სიღარ პარეაუდი...

საპარტიველო ხელისუფლების შეთავაზებები ოსური ავტონომიის აღდგენის, მისი უფრო ფართო უფლებებით ხელახალი შექმნის თაობაზე სრულიად უნდა აკმაყოფილებდეს ოს პოლიტიკოსებს. ამას აღნიშნავენ კიდევ საერთაშორისო ექსპერტები. და ეს იმდენად დიდი უფლებებია, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველთა გაცემა და წყრომასაც კი ინვესტ, მით უფრო იმ დროს, როცა სეპარატისტების მხრიდან ახალი ანტიქართული გამოსდომები მატულობს.

ოსი ხალხის მიმართ საქართველოს ხელისუფლებისა და, საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობის დიდი პატივისცემის გამოხატულება იყო დიდი ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კოსტა ხეთაგუროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეპირსიტყვიერი კვირეული.

და ამ კვირეულში იმდენი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა, რომლებიც, ალბათ, მთელ ათწლეულებს გაჰყვება. ამ დღეებმა ცხადყო ის უდიდესი მონივნება და პატივისცემა, რაც გულში აქვს შემონახული საქართველოს დიდი ოსი პოეტის შემოქმედებისადმი.

...იმ დღეს მაყურებელს ვერ იტყვდა თბილისის ოპერის თეატრი. საქართველოს ყოველი კუთხიდან მოეყარათ თავი ცნობილი ოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის თაყვანისმცემლებს. ქალაქ ცხინვალთან კი საგანგებოდ ჩამოვიდა ოსთა 20-კაციანი ჯგუფი, რაც ამ დროში, დამერწმუნებით, მათი მხრიდან, არსებული სიტუაციის გამო, იოლი გასაკეთებელი არ არის.

მაჩაბელი, მიხეილ ყიფიანი...

თამარაშენის საშუალო სკოლაში გაიხსნა ოსური ენის შემსწავლელი კურსები და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის საკლასო კაბინეტი.

თამარაშენის კინოცენტრში გამოიფინა ადგილობრივ მხატვართა და ხელმძღვრე ოსტატთა ნამუშევრები. წარმოდგენილი იყო უჩა კახიანიშვილის, ციცო გორაშვილის, შორენა ბერუაშვილის მიერ შესრულებული ფერწერული ტილოები. უჩვენეს სიკო დოლიძის კინოფილმი „ფატიმა“, ადგილობრივი მოსახლეობა დიდი სიყვარულით შეს-



ვდა რეჟისორებს თემურ ფალავანდიშვილს, გიული ჭოსონელიძეს, პოეტ მზია ხეთაგურს, ნელი ჯიოშვილს და სხვებს.

სოფელ ერედვიში „თი-ბი-სი სტუდიის“ ჯაზ-ბენდის კონცერტი გაიმართა. თბილისის N11 საშუალო სკოლაში კი ოსური დანწყებითი სკოლა გაიხსნა.

მწერლის კვირეული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისა და კულტურის სამინისტროს, ოსური კულტურის ცენტრის, პირადად დიმიტრი სანაკოვეის ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიმართა. დიდი მუშაობა გასწიეს კულტურის მინისტრმა ომარ ხუსაევმა, მისმა მოადგილემ თამარ ხიზანიშვილმა, ოსური კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა ირმა გასიევამ და სხვებმა.

კვირეული დამთავრდა, მაგრამ ზოგიერთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ოსთა და ქართველთა მეგობრობა კვლავ საუკუნეებს გაუძლებს...


ლია ჭილაძე

© სოფალი

მუხღჩაყხრქდი ვურყღღღი ყიძიდოჭა არ იძხნყვნ

შეუძლებელია ვინმეს წამოსცდეს - ქართველი გლეხი ზარმაციაო. ჩვენი გუთნისდებები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა შიმშილისგან იხსნან ოჯახები, გადაარჩინონ შვილები, მოხუცი მშობლები, ახლობლები. ხშირად ვამბობთ: სოფელი თბილისა, სწორედ ამ სიტომ და ერთმანეთის გატანის დიდმა სურვილმა მოიყვანა აქამდე ჩვენი ხალხი.

უნდა გენახათ, როგორი სიყვარულით, რუდუნებით ვვლენ ბოდნენ თავს გურიაში თბილისის, ვაშლის, მსხლის, ატმის ნარგავებს.



ამ ზაფხულს მეც და ჩემი თანასოფლელებიც თურქეთში ვიყავით ჩაის საკრეფად! იქ ჩაის ბუჩქები ისეა მოვლილი, უკეთეს ვერ ნახავთ. მთელი თვე მუხღჩაყხრქდად ვშრომობდით, რომ მიზერული თანხა მიგვეღო. მართლაც სატირალია, ქართველი ვაჭარი ჩაის საკრეფად უცხოეთში რომ მიდის.

ნუთუ ეს არის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა? თუ სახელმწიფო სახსრები გამოიყოფა, კიდევ შეიძლება გაატირებულ ჩაის გადაჭრა, მოვლა, განახლება და სათანადო მოსავალსაც მივიღებთ, მაგრამ ვინ არის ამის გამკეთებელი? ეს ხელისუფლება სანამ რამეს მოიფიქრებს, ეტყობა, კიდევ ბევრი დრო გავა. ჩვენ კი გზა ხსნილი გვაქვს მეზობელი ქვეყნისკენ... იმისთვის, რომ ზამთრის სამყოფი შაქარი, პურის ფქვილი, ხახვი, კარტოფილი, ბოსტნეული შევიძინოთ, ცხრა მთას იქით მივიღივარ სამუშაოდ! რატომ, რატომ უნდა მიდიოდეს ქართველი ვაჭარი საზღვარგარეთ სამუშაოდ, როცა ჩვენს ქვეყანაში უამრავი რამეა გასაკეთებელი, ასაღორძინებელი, გადასარჩენი...?

რალაც ფორმით მაინც გაუძლებდით ამ გაჭირვებას, რომ არა ასე „გაჭინებული“ ფაქები. ერთი ორად გაძვირდა ქაჭო, ხორბალი, ტრექტორის

სანავი. გურიაში რომ სიმინდის ფქვილის შოვნა გაგიძნელებდა, რალაზეა ლაპარაკი. წლებადეულ მოსავალს არ ვუჩივით, მაგრამ შარშან ძლივს გავიტანეთ თავი. მჭადი ჩვენთვის არ გვექონდა და ბაზარზე რა უნდა გამეტანა? არადა, ცოტა სიმინდი, ცოტა თხილი თუ არ გავყიდვ, როგორ გამოვკვებო ოჯახი? - მეუბნება თამაზ ბერიძე და დაკოჟირილ ხელს მიჩვენებს.

კარგია ახალი გზები, შადრევნები, განახლებული თბილისი, ბათუმი, სიღნაღი, მაგრამ გლეხს ყველგან მეტი ყურდღება სჭირდება, რომ თვითონაც კარგად იცხოვროს და ქალაქიც აცხოვროს, - დასძინა თამაზმა.

მიუხედავად გასაჭირისა, გურიაში ცხოვრობენ და შრომობენ ადამიანები, რომლებიც ქვეყანას მხარში უდგანან და წუნუნით არავის ანუხებენ, კმაყოფილი არიან იმით, რაც აქვთ. ვერ ებუებიან ტყუილს და თმები ყალყზე უდგებათ, როცა გაიგებენ, რომ ქვეყანაში ქათმის ან ღორის ჭირია! არ უნდათ თავიანთი ნაშრომი წყალში ჩაეყარათ და ხამშმრალი დარჩნენ, საღი თხილის ბალები ამერიკულმა პეპელამ შეუჭამოთ, ულუკმაპუროდ დარჩნენ. გულწრფელად უნდა ვთქვა: გურულებს ისიც ახარებთ, რომ პრეზიდენტმა ახლარიანი შეღავათი გამოუყო სოფლის მოსახლეობას.

გურულებს იმედი აქვთ უკეთესი მომავლის და სჯერათ, რომ ადრე თუ გვიან მათი ოჯახებიც წელში გაიმართება, მოლონიერდება.

ლალი ძინძაძე, ლანჩხუთი-თბილისი

© ინფორმაცია

პიფის ლეგალიზაციის პროცესშია გამართივლება

მართლწომიერ მფლობელთაში ან სარგებლობაში არსებული, აგრეთვე თვითნებურად დაკავებული მიწის საკუთრების უფლების აღიარებაზე მერიაში სპეციალური კომისია და სამსახური შეიქმნა.

როგორც თბილისის მერიიდან იტყობინებიან, მიწის ლეგალიზაციის პროცესშია გამართივლება. კანონის მოქმედების ვადა განსაზღვრული არ არის და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შესაბამის კომისიას ნებისმიერ დროს მიმართონ.

სარგებლობაში არსებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობით განისაზღვრება, ხოლო თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური განსხვავებულია და დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას წარმოადგენს იგი თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას.

საკუთრების აღიარების უფლება არ შეეხება რეაკრეაციული დანიშნულების ტყეებს, პარკებს, სკვერებს, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებს, საზოგადოებრივი საარგებლობის მიწის ნაკვეთებს.

შეამი რომ გაღაბუნდა, ხალხი მერა გაახსენდათ

ახალი საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, სოფლებში თითო ოჯახს 5 კმ. შემს უფასოდ დაურიგებენ. შესაბამისი დავალება გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ დავით ჩანტლაძეს მისცა.

პრეზიდენტის თქმით, უფასო შემსზე გაიცემა ვაუჩერები და პროგრამა რამდენიმე ასეულათას ოჯახზე გავრცელდება.

დავით ჩანტლაძის განცხადებით, შეშით ამჟამად უზრუნველყოფილია მოსახლეობის 60%-მდე. - კარგი ამინდის პირობებში, აქტიურად მიდის შეშის გატანა ტყიდან, - აღნიშნა მინისტრმა.

შემოდგომაზე მოსახლეობა, ძირითადად, მოსავლის აღებით იყო დაკავებული და ახლა შეშით მომარაგებით დაკავდა, - განაცხადა ჩანტლაძემ.

ინტერპრესნიუსი X0-306-360

№ 220-225. კარაკაქი. 16 ნოემბერი, 2007 წელი.



ქალაქ თბილისის საკრებულო გადაწყვეტილება № 79

29 ოქტომბერი 2007წ.

ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 24-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა დამტკიცდეს ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1).

საკრებულოს თავმჯდომარე **გაბა ბუბუშვილი**

დანართი 1

ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობები

(ათას ლარებში)

შემოსავლის კოდი	შემოსავლების დასახელება	2007 წლის დაზუსტ. გეგმა	2007 წლის 9 თვე			
			დაზუსტ. გეგმა	9 თვის ფაქტი	სხვაობა	%
01 00 00 00	I საგადასახადო შემოსავლები	399 000,0	283 766,8	295 031,1	11 264,3	104,0
01 01 00 00	საშემოსავლო გადასახადი	344 000,0	245 766,8	251 603,7	5 836,9	102,4
	ადგილობრივი გადასახადები მათ შორის:	55 000,0	38 000,0	43 427,4	5 427,4	114,3
01 07 00 00	ქონების გადასახადი მათ შორის:	55 000,0	38 000,0	42 162,3	5 427,4	111,0
01 07 03 00	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	2 300,0	1 506,0	1 732,7	226,7	115,1
01 07 01 00	საწარმოთა ქონების გადასახადი	40 000,0	29 490,0	35 625,1	6 135,1	120,8
01 07 05 00	მიწის გადასახადი	12 700,0	7 004,0	4 804,5	-2 199,5	68,6
	სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი	0,0	0,0	1 265,1	1 265,1	
02 00 00 00	II არასაგადასახადო შემოსავლები	54 840,0	41 480,0	54 035,7	12 555,7	130,3
02 01 00 00	მოსაკრებლები მათ შორის:	36 890,0	29 363,0	33 839,8	4 476,8	115,2
02 01 15 00	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	22 000,0	17 930,0	22 733,6	4 803,6	126,8
02 01 14 00	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	200,0	116,0	279,8	163,8	241,2
02 01 07 00	სახელმწიფო ბაჟი	600,0	359,0	468,9	109,9	130,6
02 01 09 00	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	10,0	5,0	13,4	8,4	268,0
02 01 12 00	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადაღების მოსაკრებელი	75,0	68,0	20,4	-47,6	30,0
02 01 03 13	მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	500,0	474,0	306,4	-167,6	64,6
02 01 03 16	მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამუხაურო გადასახადის ნებართვისათვის	955,0	672,0	1 019,7	347,7	151,7
02 01 10 00	ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი	550,0	432,0	549,3	117,3	127,2
02 01 90 00	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი (მ.შ. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის)	12 000,0	9 307,0	8 448,3	-858,7	90,8

შემოსავლის კოდი	შემოსავლების დასახელება	2007 წლის დაზუსტ. გეგმა	2007 წლის 9 თვე			
			დაზუსტ. გეგმა	9 თვის ფაქტი	სხვაობა	%
02 02 00 00	საინფორმაციო საკუთრებათა არსებული ქონების გადაცემიდან (იჯაროდან) მიღებული შემოსავალი მათ შორის:	2 800,0	1 876,0	2 131,2	255,2	113,6
	სახელმწიფო ქონების, მათ შორის სახელმწიფო მიწის და მასთან მკარად დაკავშირებული ქონების გადაცემიდან განლაგებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე	500,0	346,0	384,4	38,4	111,1
	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში (საკუთრებაში) არსებული სახელმწიფო ქონების და მიწის გადაცემიდან	2 300,0	1 530,0	1 746,8	216,8	114,2
02 03 00 00	შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	50,0	49,0	23,1	-25,9	47,1
02 05 01 00	შემოსავალი დივიდენდებიდან მიღებული ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების შოგებიდან	600,0	480,0	456,8	-23,2	95,2
02 07 00 00	შემოსავალი სესხის, დეპოზიტის და სხვა სახის პროცენტებიდან (სარგებელი)	7 000,0	4 527,0	6 841,1	2 314,1	151,1
02 08 00 00	შემოსავალი ჯარიმებიდან და საურაგებიდან მათ შორის:	7 500,0	5 185,0	6 784,9	1 599,9	130,9
02 08 01 09	ჯარიმები სავაჭრო მოძრაობის წესების დარღვევისათვის	4 700,0	3 255,0	3 951,2	696,2	121,4
02 08 90 00	ჯარიმები სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან, სხვა ჯარიმებიდან და საურაგებიდან გადასდებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურების მიერ	2 800,0	1 930,0	2 833,7	903,7	146,8
	სხვა არაკლასიფიცირებული არასაგადასახადო შემოსავლები	0,0		3 958,8	3 958,8	
03 01 00 00	III შემოსავლები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან	251 600,0	93 999,0	39 803,6	-54 195,4	42,3
03 01 01 00	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	75 000,0	19 233,0	22 814,5	3 581,5	118,6
03 01 01 00	ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან	5 000,0	4 076,0	3 791,6	-284,4	93,0
03 03 02 00	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	171 600,0	70 690,0	13 197,5	-57 492,5	18,7
	IV საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	270,0	270,0	44,3	-225,7	16,4
	სულ შემოსავლები	705 710,0	419 515,8	388 914,7	-30 601,1	92,7
05 00 00 00	V სესხის აღება (დაფინანსება)	7 290,0	7 238,1	6 994,4	-243,7	96,6
	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	398,8	398,8	20,0	-378,8	5,0
	შემოსავალი ხარჯების დასაფარავად მიმართული წლის დასაწყისისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან	6 891,2	6 839,3	6 839,3	0,0	100,0
	წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები	0,0	0,0	135,1	135,1	
	შემოსავლების ჯამი	713 000,0	426 753,9	395 909,1	-30 844,8	92,8

№ 220-225. პარაკაჟი. 16 ნოემბერი, 2007 წელი.



ისანი-სამგორის რაიონის ბიუჯეტის შესრულება ფუნქციონალურ ზრით

პერიოდი 01/01/2007

30/09/2007

ლარებში

დანართი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	წლიური დაზუსტებული გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა			საკასო ხარჯი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				მიმდინარე	კაპიტალური		მიმდინარე	კაპიტალური
701	I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	878,652.0	671,834.0	626,234.0	45,600.0	620,370.8	587,120.8	33,250.0
7012	ქ. თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების მმართველობითი ხარჯები	878,652.0	671,834.0	626,234.0	45,600.0	620,370.8	587,120.8	33,250.0
706	V. საბინაო-კომუნალური მმართველობა	3,861,732.0	2,805,832.0	1,449,632.0	1,356,200.0	2,531,066.7	1,379,953.8	1,151,112.8
7061	ბინათმშენებლობა(საბინაო ფონდის გაუმჯობესებისა და შენახვის უზრუნველყოფა	675,000.0	476,000.0	20,000.0	456,000.0	355,602.7	19,980.0	335,622.7
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება							
7063	წყალმომარაგება							
7064	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3,186,732.0	2,329,832.0	1,429,632.0	900,200.0	2,175,463.9	1,359,973.8	815,490.1
709	VIII. განათლება	9,633,948.0	6,511,476.0	5,208,816.0	1,302,660.0	4,349,838.4	3,869,263.8	480,574.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	9,633,948.0	6,511,476.0	5,208,816.0	1,302,660.0	4,349,838.4	3,869,263.8	480,574.6
710	IX. სოციალური დაცვა	1,587,000.0	1,166,000.0	1,166,000.0		1,049,942.0	1,049,942.0	
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა							
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა							
7106	საცხოვრებელი უზრუნველყოფა							
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვა	1,587,000.0	1,166,000.0	1,166,000.0		1,049,942.0	1,049,942.0	
	სულ გადასახდელები	15,961,332.0	11,155,142.0	8,450,682.0	2,704,460.0	8,551,218.0	6,886,280.5	1,664,937.5

საქალაქო ბიუჯეტის შესრულება

პერიოდი 01/01/2007

30/09/2007

დანართი

ორბანისა-ციური კოდი	დასახელება	წლიური დაზუსტებული გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	შალდებულება	დაგეგმვა		ხარჯი	დაგეგმვა
					სტანდარტული	აგანსი		
01 00	ქ. თბილისის მერიის სისტემა	442,699,851	281,477,590.97	226,988,887.09	182,646,663.36	12,542,575.14	195,189,238.50	
	მიმდინარე ხარჯები	166,399,091	124,211,982.97	106,754,361.66	99,269,143.31	1,566,585.91	100,835,729.22	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	8,181,400	6,091,213.00	6,014,361.47	5,877,310.52		5,877,310.52	
	ხელფასი	5,601,956	4,131,216.00	4,124,521.51	4,040,035.56		4,040,035.56	
	პრემია	2,579,444	1,959,997.00	1,889,839.96	1,837,274.96		1,837,274.96	
	დამქირებელიდან ანარიცხები	1,636,410	1,218,313.00	1,202,674.68	1,174,035.10		1,174,035.10	
	მივლინებები	330,000	261,600.00	240,027.09	206,661.06	33,047.03	239,708.09	
	სხვა საქონელი და მომსახურება	7,205,830	6,070,422.00	4,344,425.89	4,295,085.03		4,295,085.03	
	ოფისის ხარჯები	1,165,100	930,650.00	684,605.96	681,081.27		681,081.27	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	1,321,900	974,402.00	620,371.60	620,052.70		620,052.70	
	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები	19,150	19,150.00	14,096.25	14,096.25		14,096.25	
	ტრანსპორტი ტექნიკისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	1,159,690	825,190.00	587,275.41	578,378.57		578,378.57	
	სხვა ხარჯები	3,539,990	3,321,030.00	2,438,076.67	2,401,476.24		2,401,476.24	
	სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები	149,045,451	110,570,434.97	94,952,872.53	87,716,051.60	1,533,538.88	89,249,590.48	
	კაპიტალური ხარჯები	276,300,760	157,265,608.00	120,234,525.43	83,377,520.05	10,975,989.23	94,353,509.28	
01 01	ქ. თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების მმართველობითი ხარჯები	29,158,400	23,140,456.00	19,738,794.30	19,184,732.47	312,461.78	19,497,194.25	
	მიმდინარე ხარჯები	14,410,140	10,805,296.00	9,913,212.73	9,638,973.71	33,047.03	9,672,020.74	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	8,181,400	6,091,213.00	6,014,361.47	5,877,310.52		5,877,310.52	
	ხელფასი	5,601,956	4,131,216.00	4,124,521.51	4,040,035.56		4,040,035.56	
	პრემია	2,579,444	1,959,997.00	1,889,839.96	1,837,274.96		1,837,274.96	
	დამქირებელიდან ანარიცხები	1,636,410	1,218,313.00	1,202,674.68	1,174,035.10		1,174,035.10	
	მივლინებები	330,000	261,600.00	240,027.09	206,661.06	33,047.03	239,708.09	
	სხვა საქონელი და მომსახურება	4,112,330	3,084,170.00	2,306,149.49	2,292,308.63		2,292,308.63	
	ოფისის ხარჯები	1,165,100	930,650.00	684,605.96	681,081.27		681,081.27	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	961,900	721,650.00	620,371.60	620,052.70		620,052.70	
	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები	19,150	19,150.00	14,096.25	14,096.25		14,096.25	
	ტრანსპორტი ტექნიკისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	1,159,690	825,190.00	587,275.41	578,378.57		578,378.57	
	სხვა ხარჯები	806,490	587,530.00	399,800.27	398,699.84		398,699.84	
	სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები	150,000	150,000.00	150,000.00	88,658.40		88,658.40	



ს ა ქ ა ლ ა ქ ო ბ ი უ ჯ ე ტ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა

პ ე რ ი ო დ ი

01/01/2007

30/09/2007

ღ ა ნ ა რ ო ი

ორბანიხა-ვიული ქოდი	დასახელება	წლიური დაზუსტებული გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	დაგეგმვა		ხარჯი	დავალიანება
					სტანდარტული	აგანსი		
	კაპიტალური ხარჯები	14,748,260	12,335,160.00	9,825,581.57	9,545,758.76	279,414.75	9,825,173.51	
01 01 01	მერიის ადმინისტრაცია	2,961,520	2,095,216.00	2,044,217.42	2,010,701.40	33,047.03	2,043,748.43	
	მიმდინარე ხარჯები	2,961,520	2,095,216.00	2,044,217.42	2,010,701.40	33,047.03	2,043,748.43	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1,813,700	1,245,755.00	1,241,473.75	1,241,473.75		1,241,473.75	
	ხელფასი	970,940	723,040.00	722,341.86	722,341.86		722,341.86	
	პრემია	842,760	522,715.00	519,131.89	519,131.89		519,131.89	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	362,820	249,211.00	248,294.73	248,294.74		248,294.74	
	მივლინებები	330,000	261,600.00	240,027.09	206,661.06	33,047.03	239,708.09	
	სხვა საქონელი და მომსახურება	455,000	338,650.00	314,421.85	314,271.85		314,271.85	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	455,000	338,650.00	314,421.85	314,271.85		314,271.85	
01 01 02	საფინანსო საქალაქო სამსახური	740,000	557,250.00	551,676.64	543,603.30		543,603.30	
	მიმდინარე ხარჯები	740,000	557,250.00	551,676.64	543,603.30		543,603.30	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	596,800	446,850.00	446,836.54	440,486.54		440,486.54	
	ხელფასი	411,600	296,950.00	296,936.54	296,936.54		296,936.54	
	პრემია	184,200	150,900.00	150,900.00	144,550.00		144,550.00	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	119,200	89,400.00	89,400.00	87,694.58		87,694.58	
	სხვა საქონელი და მომსახურება	25,000	21,000.00	15,440.10	15,422.18		15,422.18	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	25,000	21,000.00	15,440.10	15,422.18		15,422.18	
01 01 03	მკონსტრუქციის პოლიტიკის საქალაქო სამსახური	255,800	190,800.00	190,583.61	186,855.84		186,855.84	
	მიმდინარე ხარჯები	255,800	190,800.00	190,583.61	186,855.84		186,855.84	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	204,000	153,000.00	153,000.00	149,893.40		149,893.40	
	ხელფასი	155,554	115,804.00	115,804.00	113,747.40		113,747.40	
	პრემია	48,446	37,196.00	37,196.00	36,146.00		36,146.00	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	40,800	30,600.00	30,599.83	29,978.66		29,978.66	
	სხვა საქონელი და მომსახურება	11,000	7,200.00	6,983.78	6,983.78		6,983.78	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	11,000	7,200.00	6,983.78	6,983.78		6,983.78	
01 01 04	კანონმდებლის დაცვის განყოფილება	392,460	292,585.00	291,714.58	291,396.58		291,396.58	
	მიმდინარე ხარჯები	392,460	292,585.00	291,714.58	291,396.58		291,396.58	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	304,700	227,475.00	227,475.00	227,347.50		227,347.50	
	ხელფასი	225,413	167,663.00	167,663.00	167,612.50		167,612.50	
	პრემია	79,287	59,812.00	59,812.00	59,735.00		59,735.00	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	60,960	45,510.00	45,510.00	45,469.50		45,469.50	
	სხვა საქონელი და მომსახურება	26,800	19,600.00	18,729.58	18,579.58		18,579.58	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	26,800	19,600.00	18,729.58	18,579.58		18,579.58	
01 01 05	ადგილობრივი მნიშვნელობის საქალაქო სამსახური	471,580	353,649.00	343,583.20	333,305.24		333,305.24	
	მიმდინარე ხარჯები	471,580	353,649.00	343,583.20	333,305.24		333,305.24	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	374,150	276,145.00	273,495.00	264,992.52		264,992.52	
	ხელფასი	293,110	215,710.00	213,060.00	204,592.52		204,592.52	
	პრემია	81,040	60,435.00	60,435.00	60,400.00		60,400.00	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	74,930	55,304.00	54,774.00	52,998.52		52,998.52	
	სხვა საქონელი და მომსახურება	22,500	22,200.00	15,314.20	15,314.20		15,314.20	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	22,500	22,200.00	15,314.20	15,314.20		15,314.20	
01 01 06	სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური	697,100	575,956.00	572,509.17	543,416.77		543,416.77	
	მიმდინარე ხარჯები	697,100	575,956.00	572,509.17	543,416.77		543,416.77	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	525,900	424,888.00	424,888.00	400,719.67		400,719.67	
	ხელფასი	397,600	310,860.00	310,860.00	296,405.67		296,405.67	
	პრემია	128,300	114,028.00	114,028.00	105,314.00		105,314.00	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	105,200	85,068.00	85,068.00	80,143.93		80,143.93	
	სხვა საქონელი და მომსახურება	66,000	66,000.00	62,553.17	62,553.17		62,553.17	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	66,000	66,000.00	62,553.17	62,553.17		62,553.17	
01 01 07	ზედაპირული მომსახურების საქალაქო სამსახური	1,411,400	1,104,000.00	1,096,757.98	1,096,757.00		1,096,757.00	
	მიმდინარე ხარჯები	1,411,400	1,104,000.00	1,096,757.98	1,096,757.00		1,096,757.00	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1,120,300	877,725.00	876,697.74	876,697.74		876,697.74	
	ხელფასი	730,700	522,350.00	521,367.74	521,367.74		521,367.74	
	პრემია	389,600	355,375.00	355,330.00	355,330.00		355,330.00	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	224,100	175,575.00	175,339.55	175,339.55		175,339.55	

№ 220-225. პარაკევი, 2007 წელი.



ს ა ქ ა ლ ა ქ ო ბ ი უ ჯ ე ტ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა

პ ე რ ი ო დ ი 01/01/2007 30/09/2007 დანართი

ორბანიზაციული კოდი	დასახელება	წლიური დაჯანსაღებული ბიზნა	კვირიდან დაჯანსაღებული ბიზნა	მალდებულება	დაგეგმვა		ხარჯი	დავალიანება
					სტანდარტული	აგენსი		
	სხვა საქონელი და მომსახურება	67,000	50,700.00	44,720.69	44,719.71		44,719.71	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	67,000	50,700.00	44,720.69	44,719.71		44,719.71	
01 01 08	ურბანული დაგეგმვის საქალაქო სამსახური	868,200	634,050.00	534,651.05	534,651.05		534,651.05	
	მიმდინარე ხარჯები	868,200	634,050.00	534,651.05	534,651.05		534,651.05	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	678,900	497,975.00	429,095.44	429,095.44		429,095.44	
	ხელფასი	480,700	339,350.00	336,999.37	336,999.37		336,999.37	
	პრემია	198,200	158,625.00	92,096.07	92,096.07		92,096.07	
	დამქირავებელიდან ანარიცხები	135,800	99,675.00	85,819.08	85,819.08		85,819.08	
	სხვა საქონელი და მომსახურება	53,500	36,400.00	19,736.53	19,736.53		19,736.53	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	53,500	36,400.00	19,736.53	19,736.53		19,736.53	
01 01 09	საქალაქო სამსახური თბილისის კორპუსი	287,500	214,250.00	206,130.45	204,684.04		204,684.04	
	მიმდინარე ხარჯები	287,500	214,250.00	206,130.45	204,684.04		204,684.04	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	215,100	161,325.00	161,325.00	160,169.66		160,169.66	
	ხელფასი	162,746	120,446.00	120,446.00	119,305.66		119,305.66	
	პრემია	52,354	40,879.00	40,879.00	40,864.00		40,864.00	
	დამქირავებელიდან ანარიცხები	43,100	32,325.00	32,325.00	32,033.93		32,033.93	
	სხვა საქონელი და მომსახურება	29,300	20,600.00	12,480.45	12,480.45		12,480.45	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	29,300	20,600.00	12,480.45	12,480.45		12,480.45	
01 01 10	მუნიციპალური უმჯობესების საქალაქო სამსახური	450,000	352,450.00	351,317.45	330,330.76		330,330.76	
	მიმდინარე ხარჯები	450,000	352,450.00	351,317.45	330,330.76		330,330.76	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	353,100	277,325.00	277,325.00	259,836.09		259,836.09	
	ხელფასი	264,200	195,650.00	195,650.00	186,566.09		186,566.09	
უკანონო ნაგებობების დემონტაჟისათვის 2007 წლის ბიუჯეტით 9 თვის დამტკიცებული გეგმაა 364.0 ათასი ლარი. ხოლო დახუცებული - 1,480.0 ათასი ლარი. შესრულება - 1,169.9 ათასი ლარი, რომელიც გახარჯული იქნა ქობილისის ტერიტორიაზე საერთო სარგებლობის მიწებზე, გამწვანების ზონში, პარკებში, სკვერებში, ტროტუარებზე, სათამაშო მიწებზე უკანონოდ განთავსებული კონსტრუქციების, აგრეთვე უკანონო, უსახური შენობა-ნაგებობების და ავტოსადგომების დემონტაჟისათვის. (კაპიტალური ნაგებობების დემონტაჟი - ელჩაქისის, აირმტრელის და ექსკავატორის გამოყენებით, დატვირთვა თვითმცლელზე და გატანა დანიშნულების ადგილზე მიტანით 14500 მ²; ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი აირმტრელის გამოყენებით და გატანით დანიშნულების ადგილზე 2500 მ²; ბილბორდის დემონტაჟი აირმტრელით და ამწერანის გამოყენებით, დატვირთვა მისამბედიან მანქანაზე და გატანა დანიშნულების ადგილზე 1600 მ²; კაპიტალური ავტოფარეხების დემონტაჟი 4000 მ²; ჯიხურების დემონტაჟი 125 მ²); ხის ნაგებობების დემონტაჟი 1500 მ²; რკინისა და ხის ღობეების დემონტაჟი 420 მ²).

ქალაქის დასუფთავების ღონისძიებების 9 თვის დახუცებული გეგმა განისახილვრა სულ 21,900.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: „ქ. თბილისის დასუფთავების პროგრამისათვის“ -21,150.0 ათასი ლარის და „ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლისათვის“ -750.0 ათასი ლარის სუბსიდიას. რაზედაც საანგარიშო პერიოდში აღებულია ვალდებულება შესაბამისად: 19,910.7 ათასი ლარი და 595.2 ათასი ლარი. „ქ. თბილისის დასუფთავების პროგრამის“ საკასო ხარჯია 19,910.7 ათასი ლარი ხოლო „ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლის“ -595.2 ათასი ლარი.

„ქ. თბილისის დასუფთავების პროგრამიდან,“ საანგარიშო პერიოდში, დედაქალაქში მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების დაგვა-დასუფთავების, შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელებამდე ტრანსპორტირების მომსახურებას მოხმარდა 17,901.2 ათასი ლარი. დედაქალაქში იგეგმა და სუფთავდება 770 ქუჩა, საერთო ფართობი -7588900 კვ.მ, 750 ერთეული შიდა კვარტალური ეზო - 3698550 კვ.მ, 50 ხევი და ფერდობი სულ 499700 კვ.მ, 24 ერთეული ძველი და 52 მიწისქვეშა გადასახლელი; დედაქალაქში დღეისათვის მოქმედი (მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვები) 5000 ერთეული ბუჩქერი, დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღებასთან დაკავშირებით საბილინგო სისტემის (ქეთრების ბეჭდვა და დარიცხვა აბონენტებისათვის, სისტემის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, გადასახადების მიღება, ინკასაცია და სხვა) მომსახურებაზე, რომელსაც ასრულებს ტენდერში გამარჯვებული სს „თელასი“, გაწეულია 480.9 ათასი ლარის ხარჯი.

„ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლის“ პროგრამიდან 23.5 ათასი ლარი მოხმარდა იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის, რომლის საერთო ტერიტორია შეადგენს 5 ჰექტარს, დაცვის 9 თანამშრომლის 24 საათიანი დაცვის მომსახურებას, ხოლო 29.4 ათასი ლარი -გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის 24 საათიანი დაცვის მომსახურებას, ტერიტორია 10 ჰა. დარჩენილი თანხა 542.3 ათასი ლარი მოხმარდა გლდანისა და იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელ პოლიგონებზე შეხიდილი მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების დაგვა-დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების გაუვნებელიყოფას. იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელ პოლიგონზე შეხიდილია და გაუვნებელიყოფილია 141556 კუბ.მ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ქუჩის მონახვევი, ამასთან, 1 მარტიდან სოფლო-საეკონომიკური ნარჩენების მიწის ფენილით გადაფარვა და დატკეპნა, ხანძარსა და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, ტერიტორიის დეზინსექცია და სამრეცხაო სამუშაოები.

„კაპიტალური დაბანდები დასუფთავების სფეროში“ პროგრამა დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 1,900.0 ათას ლარს. ქობილისის საზღვრების გაფართოებასთან დაკავშირებით საგრძობლად გაიზარდა ქალაქის დასასუფთავებელი ფართობი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა სხვადასხვა სახის ტექნიკის შეძენის აუქციონებები. ქობილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის №04.05.124 დადგენილების და ქობილისის საკრებულოს 29 ივნისის №13.01.355 გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფილ იქნა შესაბამისად: 3,000.0 და 9,000.0 ათასი ლარი. სულ 12,000.0 ათასი ლარი (დახუცებული გეგმა -13,900.0 ათასი ლარი). ვალდებულება წარმოდგენილია 3,000.0 ათასი ლარის სუბსიდიასზე და 10,900.0 ათასი ლარის კაპიტალურ ხარჯზე. საკასო ხარჯი გაწეულია შესაბამისად: 3,000.0 ათასი ლარი და 10,741.4 ათასი ლარი, სულ 13,741.4 ათასი ლარის ოდენობით. გამართული ფუნქციონირების, დედაქალაქში დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის ორგანიზების გაუმჯობესების მიზნით შექმნილია სხვადასხვა ტიპის დონის კონტეინერი (1100 ლიტრის ტევადობის 1647 ცალი ერთეულის ფასი 847 ლარი და 2000 ცალი 240 ლიტრიანი პლასტმასის კონტეინერი, ერთეულის ფასი 80 ლარი, 1500 ცალი 50 ლიტრიანი პლასტმასის ურნა ერთეულის ფასი 48 ლარი) სულ 1,741.4 ათასი ლარის, რომლებიც განლაგებულია ქალაქის ქუჩებში. ტენდერში გამარჯვებულ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ შეძენილია: 50 ერთეული ახალი ნაგავშიდი, 1000 ერთეული 1.1 მ.კუბ. მოცულობის კონტეინერი, 5 ერთეული მექანიზებული დაგვის მანქანა, 5 ერთეული ტროტუარის დამკველი სპეცტექნიკა.

გლდანისა და იაღლუჯის ნაგავსაყრელი პოლიგონების კონტროლის მიზნით დამონტაჟდა მაღალი გარეწვადობის, დღე-ღამის უძრავი და მოძრავი სათვალთვალო კამერები, რის შემდეგობითაც ხდება პოლიგონებზე მიმდინარე მოვლენების დასუფთავების სამსახურის ოფისიდან ონლაინ რეჟიმში მეთვალყურეობის განხორციელება და 24 საათის განმავლობაში ხდება ნაწერა, რაც იძლევა პოლიგონებზე აღრიცხვების კონტროლის, გაუვნებელიყოფის ტექნოლოგიების და ხანძარსა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების უფრო გამაქცრების დაცვის საშუალებას.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები 2007 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განისახილვრა 7,350.0 ათასი ლარით, მათ შორის 9 თვის გეგმა შეადგენს 5,400.9 ათას ლარს. ვალდებულებები წარმოდგენილია 5,375.1 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 4,935.7 ათასი ლარი, რაც პერიოდის დახუცებული გეგმის (5,400.9 ათასი ლარი) 91.4%-ია, მათ შორის: „თბილისის მოსახლეობაში ონკოლოგიური დაავადებების გამოვლინებისა და მკურნალობის (პრევენციის) პროგრამა“ დაფინანსებულია 219.8 ათასი ლარით. ხარჯები გაწეულია ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკასთან დაკავშირებულ სამედიცინო მომსახურებაზე, „სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა“ - 4,669.4 ათასი ლარით. მათ შორის ხარჯები გაწეულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებისათვის საწვავის შესაძენად, მედიკამენტების შესაძენად, კომუნალური გადასახადებისათვის, „03“-ის ექიმთა ხელფასების გასაცემად.

სოციალური დაცვის პროგრამები დამტკიცებული ბიუჯეტით განისახილვრა 13,149.0

ათასი ლარით, მათ შორის 9 თვის გეგმა შეადგენს 12,388.6 ათას ლარს. ვალდებულებები წარმოდგენილია 11,319.1 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 11,075.5 ათასი ლარი, რაც პერიოდის დახუცებული გეგმის (11,829.1 ათასი ლარი) 94 %-ია. ძირითადი სოციალური პროგრამები დაფინანსდა შემდეგნაირად: „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარება კომუნალურ გადასახადებზე“ - 1,329.7 ათასი ლარით (გეგმა - 1,525.0 ათასი ლარი); „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარება ყოველ ახალშობილზე“ - 39.8 ათასი ლარით; „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება“ - 356.9 ათასი ლარით (გეგმა - 437.2 ათასი ლარი); „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ტელეფონის საბონინგო გადასახადის ნაწილობრივი ანაზღაურების პროგრამა“ - 78.1 ათასი ლარით; „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა სოციალური დახმარების პროგრამა“ - 11.2 ათასი ლარით (გეგმა - 14.7 ათასი ლარი); „ქ. თბილისში მცხოვრებ პენსიონერებზე პენსიის დანამატი“ - 8,756.3 ათასი ლარით (გეგმა - 8,950.0 ათასი ლარი); „სახანძროლოში მიერ ქმედუქნაროდ აღიარებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ზედამხედველობის განხორციელების პროგრამა“ - 13.9 ათასი ლარით (გეგმა - 18.3 ათასი ლარი); ხარჯები გაწეულია ხელშეკრულებით აყვანილი 5 თანამშრომლის ხელფასების გასაცემად; „ერუ და უსინათლოთა ინვალიდთათვის თანადგომის პროგრამა“ - 15.6 ათასი ლარით (გეგმა - 17.9 ათასი ლარი); ხარჯები გაწეულია ერუ და უსინათლო ინვალიდების თარჯიმნებით მომსახურებასა და გამცილებლებით უზრუნველყოფაზე.

ქ. თბილისის ბიუჯეტით განათლების პროგრამები დაგეგმილია 780.0 ათასი ლარის ოდენობით, სიღარიფა 9 თვის დახუცებული გეგმა შეადგენს 676.6 ათას ლარს, შესრულება - 382.7 ათას ლარს და მოიცავს 4 პროგრამას, მათ შორის:

- ადგილობრივი თვითმმართველობა განათლების მხარდასაჭერად - პროგრამის დახუცებული გეგმა შეადგინა 60.0 ათასი ლარი, შესრულებამ - 33.0 ათასი ლარი;
- აღზრდისა და დამატებითი განათლების პროგრამის - დახუცებული გეგმა შეადგინა 246.6 ათასი ლარი, შესრულებამ - 114.4 ათასი ლარი;
- ბავშვთა საზაფხულო შემეცნებით-გასართობი, გამაჯანსაღებელი ბანაკები - დახუცებული გეგმა შეადგინა 70.0 ათასი ლარი, რაც ამ ეტაპზე აუთოვისებელია;
- პირველკლასელთა უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით - დახუცებული გეგმა შეადგინა 300.0 ათასი ლარი, შესრულებამ - 235.3 ათასი ლარი.

კულტურის პროგრამების ხარჯები დაფინანსებულია 1,280.9 ათასი ლარით შემდეგ ღონისძიებებზე:

მუნიციპალური თეატრებისათვის გათვალისწინებული 879.6 ათასი ლარიდან, დაფინანსებულია 798.7 ათასი ლარით, შესრულება 90.8%. მუნიციპალური თეატრების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებები, ქობილისის მთავრობის 2007 წლის 20 თებერვლის №05.21.162 დადგენილების შესაბამისად, გადახდილია 8 მუნიციპალური თეატრის სუბსიდირებისათვის და თავისუფალი თეატრალური დადგმების განხორციელების პროგრამაზე, აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 30.03.2007 №07.03.207 დადგენილებით რეორგანიზებულ იქნა ნანტლადის სახელობის და მეტეხის თეატრები რის ბაზაზეც დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თეატრი „გლობუსი“.

პროგრამა „სახელმწიფო დღესასწაულები“ დაფინანსებულია 94.4 ათასი ლარით (გეგმით 293.2 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 9 არილის ტრადიციის მე-18 წლისთავის, 9 მაისის ფაშისზე გამარჯვების და 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ღონისძიებები: აკროპის დღის აღსანიშნავად საქართველოს ფაშისზე დღის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში შედგა ასტორ პიაკოლას მუსიკის სადამო; ასევე მოქმედ სახელობის მსვლელობა 1921 წლის 25 თებერვალს, ოქცრების დაკრძალვის მსვლელობის ოცნერე მარშრუტით და ჩატარდა მერიის ფოიეში საქართველოს გასაბჭოების პერიოდში დანგრეული ეკლესიების ფოტო-გამოფენა.

გაცვლითი კულტურული პროგრამის ფარგლებში გაწეულია ხარჯი 270.8 ათასი ლარის ოდენობით (გეგმა 400.0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში ჩატარდა „თბილისის დღეები კახეთში“, რაზედაც დახარჯულია 120.3 ათასი ლარი; „კვივის დღეები თბილისში“ დაფინანსებულია 101.0 ათასი ლარით; „ახალი ორლეანის დღეები თბილისში“ ქვეპროგრამის ფარგლებში ტრადიციული ახალორლეანული ჯაზის კონცერტის ჩასატარებლად 4.5 ათასი ლარით დაფინანსებულია საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის დარბაზის ოჯართი მომსახურება. კავშირი „თბილისის თეატრალური ცენტრის და ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს ინიციატივით 2007 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში ქართული საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე საქართველოდან მიწვეული იყო „თავისუფალი თეატრი“ და „თითების თეატრი“, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია ავიაბილეთის ღირებულება - 33.5 ათასი ლარით; გაცვლითი კულტურული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია ქმადრიში დღეგაციის გამზავრების ხარჯები, -10.3 ათასი ლარით; ევროსაბჭოში ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის გამოყენის მოწეობის თანდაფინანსებისათვის გადარიცხულია 500 ევროს ექვივალენტი თანხა 1.1 ათასი ლარი).

სახელოვნო განათლების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსებულია 97.0 ათასი ლარით (გეგმა 150.0 ათასი ლარი). აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია ქობილისის საკრებულოს №2-26 28/02/07 გადაწყვეტილების საფუძველზე და მოიცავს ომ სპეციალობების დაფინანსებას, რომელთა შესწავლა მოხარდებში არ არის მოთხოვნილი და სახელმწიფო დაფინანსების არსებობის პირობებშიც კი როელი იყო კონტინენტის შენარჩუნება. ეს სპეციალობები ის მუსიკალური საკრავები, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფო და სიმფონიურ ორკესტრებს. სახელოვნო განათლების პროგრამიდან დაფინანსებულია №20 და №19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე - ხორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით სწავლება, №28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე - ქართული ხალხური საუნდო ხელოვნების განყოფილებაზე სწავლება და კ. კინსმითის №29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე - წვეთის მოსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა სწავლება.

სახალხო ფესტივალ არტ-გენის ღონისძიებების ხარჯები დაფინანსებულია 20.0 ათასი ლარით. (გეგმა 20.0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია ფესტივალის შესახებ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ -ის ეთერში რეკლამის განთავსების მომსახურება - 11.2 ათასი ლარი, ხალხური რეწვის ამსახველი ფოტო-გამოფენის მოწეობა - 3.2 ათასი ლარი, ზ. კორინთელის და ანსამბლ „ხუმბალენის“ კონცერტი - 3.2 ათასი ლარი, მოტრიალე ტემპობზე რეკლამის განთავსების მომსახურება - 2.4 ათასი ლარი.

კულტურული დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები დაფინანსებულია 1,946.4 ათასი ლარით. (33 ათასი ლარი გადახდილი იქნა კულტურის დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებზე დაფუძნების სარეგისტრაციო მოსაკრებლისა და გაწეული ხანტარო მომსახურებისათვის; კულტურის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების საექსპერტო დახ-

№ 220-225. პარასკევი, 16 ნოემბერი, 2007 წელი.



კენების და შენობის გამაგრების პროექტების შედგენის მომსახურებისათვის გათბობის სისტემის მონტაჟის და დაზიანებული კულტურის ობიექტების დეფექტური აქტების შედგენისათვის - 48.6 ათასი ლარი. ხელოვნების სკოლების №4, №2, №22, №26, №3, №14, №15, №6, ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის, ი.სუხიშვილის სახ.საკვლევი სტუდიის, №19 ხელოვნების, ვირსალაძის ხელოვნების გიმნაზიის, მიმდინარე კაპიტალური შეკეთების და გათბობის სისტემის დამონტაჟებისათვის - 1,894.5 ათასი ლარი).

ცენტრალიზებული სპორტული ღონისძიებების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1,168.0 ათას ლარს. (გეგმით 668.0 ათასი ლარი), ფაქტიური დაფინანსება - 725.0 ათასი ლარი. შესრულება - 62.0%-ი. (საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ 75.0 ათასი ლარი, „შიარული სტარტები“ - თბილისის ჩემპიონატი საჯარო სკოლების ნაკრებ გუნდებს შორის 188.3 ათასი ლარი, ევროპის შეიდაკვა რაგბიში მონაწილე გუნდების სასტუმროს მომსახურების ხარჯები 41.4 ათასი ლარი, მაშაკაცთა პროფესიული სოციალური საერთაშორისო ტურნირი თბილისის მერიის თასი 25.0 ათასი ლარი, საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას საერთაშორისო ტურნირისათვის 50.0 ათასი ლარი, ევროპის შესარჩევ ტურნირზე კალათბურთის ნაკრები გუნდისათვის ავიაბილეთების შესყიდვა 26.4 ათასი ლარი, ევროპის ჩემპიონატზე კალათბურთის ნაკრები გუნდის მივლინება 37.0 ათასი ლარი, ქობილისის მერიის თასის გათამაშება 19.9 ათასი ლარი, ქარსელაძის სახელობის საჭადრაკო კლუბ „ნტ“ - თვის ფინანსური დახმარება 50.0 ათასი ლარი, შედგენის შესყიდვა 45.0 ათასი ლარი და სხვა).

ურბანული დაგეგმარების ხარჯები 9 თვის დაზუსტებული გეგმა 5,175.2 ათასი ლარი დაფინანსებულია 3,835.2 ათასი ლარით, რაც ძირითადად გასხვების უზრუნველყოფის ქალაქის საკუთრებაში დაბრუნების პროგრამის ხარჯებია (3,495.4 ათასი ლარი).

საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამისათვის საანგარიშო პერიოდის გეგმა - 4,313.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 3,906.8 ათასი ლარით. კაპიტალური დაბანდებები ქალაქის უსაფრთხოების სისტემაში 2,400.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 170.2 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში წყნობის სახანძრო სახლს ჩაუტარდა ნაწილობრივი კაპიტალური რემონტი თანხით 74.9 ათასი ლარი. შექმნილია და დამონტაჟებულია ქალაქის სხვადასხვა უბნებში გარე მეთვალყურეობის ვიდეო-სათვალთვალო კამერები, რისთვისაც დაიხარჯა 946.5 ათასი ლარი. შექმნილი იქნა სამაშველო სკუტერი ღირებულებით 12.8 ათასი ლარი. შექმნილია 60.0 ათასი ლარის სპეცტრალური და უნიფორმა.

საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამის დასაფინანსებლად 9 თვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 7,500.0 ათასი ლარიდან, აღებულია ვალდებულება 7,482.1 ათასი ლარი დაფინანსებულია 100 %-ით.

საანგარიშო პერიოდში, დელაქალაქის ტერიტორიულ (ადმინისტრაციულ) საზღვრებში ქუჩებზე, მოედნებზე, მაგისტრალზე, სატრანსპორტო საშუალებისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით დამონტაჟდა ახალი და შეიცვალა ძველი მწკობრიდან გამოსული საგზაო ნიშანი, განხორციელდა არსებული შუქნიშნის ობიექტების და საგზაო ნიშნების მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის ღონისძიებები, გაწეულია ხარჯი 1,136.0 ათასი ლარის ოდენობით ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 1,202.0 ათასი ლარი ნაცვლად.

2007 წლის 9 თვეში კაპიტალური დაბანდებები ქალაქის სატრანსპორტო სისტემის განვითარების ხარჯებიდან გათვალისწინებული ხელშეკრულების თანახმად, საკონსულტაციო მომსახურებაზე ფირმა UBC International-სათვის გადარიცხულია დამატებული ღირებულების გადასახადი 334.7 ათასი ლარის ოდენობით, სატრანსპორტო საშუალებების ნავიგაციისა და კომუნიკაციის სისტემის მოსაწყობად 224.5 ათასი ლარი და ტექნიკური ბაზის მოსაწყობად 44.8 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის 9 თვეში მოძრავი შემადგენლობის ვაგონების მოდერნიზაციის ხარჯები 3,398.0 ათასი ლარი და მეტროსადგურ „დედისი-უნივერსიტეტის“ სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად გათვალისწინებული 1,750.0 ათასი ლარი არ დაფინანსებულია.

ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსის მიერ ხორციელდება მიზნობრივი პროგრამა „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“. პროგრამა ითვალისწინებს სახურავების, ლიფტებისა და შიდა წყალგაყვანილობის შეკეთებას წილობრივი მონაწილეობით. პროგრამის მიზლიანი მოცულობა დღეისათვის 11,954.0 ლარს შეადგენს. პერიოდის დაზუსტებული გეგმა 8,268.4 ათასი ლარია, ფაქტიურმა ხარჯმა 6,662.8 ათასი ლარი შეადგინა, აქედან პროგრამის მომსახურებაზე გაიწია 941.0 ათასი ლარი, (ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისათვის სემინარების ჩატარება; კოორდინატორების, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების წახალისება და სპორტული მოედნების კოორდინატორების შრომის ანაზღაურება 253.4 ათასი ლარი და სხვა.) პროგრამის ფარგლებში სამუშაოები შესრულდა 1197 ობიექტზე: სახურავი შეკეთდა 469 ობიექტზე (საერთო ფართი 271223.8 მ²), 291 საცხოვრებელ კორპუსში შეკეთდა 328 ლიფტი, შიდა წყალ-გაყვანილობა - 410 ობიექტზე (1248 სადარბაზო), მიმდინარე ტერიტორიის გამიჯვნა (წითელ ხაზებში შეყვანა) - 2 ობიექტზე, სადარბაზოს მეტალის კარები დაყენდა 12 კორპუსის 19 სადარბაზოში და 13 საცხოვრებელ კორპუსში შეკეთდა 22 სახურავის წყალსაწვრტი მილი.

მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ოდენობამ 1,697.4 ათასი ლარი. მიმდინარე წლის 9 თვეში მერიის სარეზერვო ფონდიდან დახმარების სახით თანხები გამოეყო ოსეთის ადმინისტრაციას 542.7 ათასი ლარი, II მსოფლიო ომის ინვალიდ და მონაწილე ვეტერანებს 9 მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებით 384.0 ათასი ლარი და სხვა.

პროგრამა „დაიწყო ბიზნესი თბილისის მერიის დახმარებით“ პროექტის ფარგლებში ვალდებულება აღებულია 19.8 ათას ლარზე (გეგმით - 380.0 ათასი ლარი) და ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურებაზე გაფორმებულია შპს „ეი ბი სერვისი“ - თან, რომელიც ითვალისწინებს სამაშველო კომპანიების „იმედი“, „რუსთავი 2-ის“ და „მისი“ ეთერში სარეკლამო კლიპების განთავსებას. ამასთან ხარჯები გაიწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდგომ.

„ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ხარჯები ჯთხ გრანტის“ პროგრამისათვის გათვალისწინებულია 45.0 ათასი ლარი (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მოსამზადებელი სამუშაოები). შესრულება - 44.3 ათასი ლარი.

პროგრამა „თბილისის-შესაძლებლობათა ქალაქის“ პროექტის ფარგლებში ვალდებულება აღებულია 32.4 ათას ლარზე და ტენდერში გამარჯვებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც ითვალისწინებს „ჩანთა თბილისის რიმბოლიკებით“ შესყიდვას და 2 ფილმის (თბილისის ტურისტული შესაძლებლობები -

2008“, „თბილისი თქვენი ბიზნესის ადგილი“) ელექტრონული ვერსიების მომზადებას. ამასთან სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა და შესაბამისად ხარჯები გაიწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდგომ.

მერიის სისტემის გარეთ მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები დაფინანსებულია შემდეგნაირად:

ქობილისის საკრებულოს 2007 წლის ბიუჯეტით 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2,563.3 ათასი ლარი, რაც ფაქტიურად შესრულდა 2,139.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ფონდი დაზუსტებული გეგმით - 987.9 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა 922.8 ათასი ლარით, მათ შორის: ხელფასი გეგმა - 835.4 ათასი ლარი; ფაქტიური - 786.9 ათასი ლარი; დამატარებელიდან ანარიცხების დაზუსტებული გეგმა - 197.6 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა - 184.6 ათასი ლარით. მივლინების ხარჯის დაზუსტებული გეგმა - 63.3 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა 12.7 ათასი ლარით. სხვა საქონელის და მომსახურების ხარჯები დაზუსტებული გეგმით - 841.0 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა - 797.1 ათასი ლარით. აუთვისებლობა დარჩა 43.9 ათასი ლარი: ოფისის ხარჯში - დაზუსტებული გეგმა - 192.0 ათასი ლარი, ფაქტი - 185.6 ათასი ლარი. კომუნალური ხარჯი- დაზუსტებული გეგმა - 88.5 ათასი ლარი, ფაქტი - 66.1 ათასი ლარი. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების დაზუსტებული გეგმა - 170.3 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 165.7 ათასი ლარი. სხვა ხარჯების დაზუსტებული გეგმა - 390.2 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა - 379.6 ათასი ლარით, კაპიტალურ ხარჯების დაზუსტებული გეგმა - 473.5 ათასი ლარი; ფაქტი - 222.2 ათასი ლარი. აუთვისებლობა გამოიწვია ტენდერის პროცედურების დაგვიანებით დასრულებამ.

შპს თბილისის მეტროპოლიტენის ქ. თბილისის 2007 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით 9 თვეში გათვალისწინებული 15,709.7 ათასი ლარი, დაფინანსებულია 14,507.3 ათასი ლარით და გაცემულია საანგარიშო პერიოდში 441.2 ათასი ლარი, მათ შორის: მეტროპოლიტენის სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 3,769.7 ათას ლარს, ვალდებულება აღებულია 3,711.1 ათას ლარზე, რაც მთლიანად დაფინანსებულია. კაპიტალური მშენებლობის ხარჯები გეგმიური 11,940.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 11,237.6 ათასი ლარით, აქედან მოძრავი შემადგენლობის ვაგონების მოდერნიზაციის ხარჯი შეადგენს 9,950.0 ათას ლარს, თბილისის მეტროს სადგურების რეკონსტრუქციის გეგმა 1,450.0 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 1,250.0 ათას ლარზე, დაფინანსება შეადგენს 882.4 ათას ლარს, სიდიდან ავანსად გაცემული თანხაა 441.2 ათას ლარს შეადგენს. სხვა კაპიტალური ხარჯების 9 თვის გეგმა 490.0 ათას ლარს შეადგენდა, ვალდებულება აღებული იყო 456.0 ათას ლარზე, ფაქტიური დაფინანსება 405.2 ლარს შეადგენს.

ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია II საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება, მათ შორის 9 საგანმანათლებლო დაწესებულება (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები) 2007 წლის 1 თებერვლიდან მოიხსნა საბიუჯეტო დაფინანსების საპრობლემური ფორმის შეცვლასთან დაკავშირებით, ხოლო ე. ახელედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა და სათამაშოების მუზეუმი დაფინანსდება მთელი წლის განმავლობაში.

სულ საგანმანათლებლო დაწესებულებების 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 76.1 ათასი ლარი რაც შესრულდა 66.6 ათასი ლარით.

ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს 2007 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4,602.2 ათასი ლარს. საანგარიშო პერიოდში აღებულია 4,127.4 ათასი ლარის ვალდებულება; დამოწმებულია და გაწეულია 3,533.2 ათასი ლარის ხარჯი (შესრულება 76.8%), მათ შორის ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 65.8 ათასი ლარის ოდენობით, გეგმასთან შედარებით 64.2 ათასი ლარით ნაკლები; შექმნილია კაპიტალური ხარჯების საშუალებები, სკანერები, კარტრიჯი და განაწილებულია მთავარ სამმართველოსა და დაქვემდებარებულ რაინულ სამმართველოებზე; სხვა ხარჯებში გეგმით გათვალისწინებული 47.5 ათასი ლარი მთლიანად არის დაფინანსებული; კომუნალური მომსახურებისათვის სამმართველოსათვის განსახდურული 1,249.7 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 1,093.1 ათას ლარზე და გაწეულია 1,089.1 ათასი ლარის ხარჯი. (შესრულება 87.1%); კაპიტალურ ხარჯების გეგმა 2,945.0 ათასი ლარი დაფინანსდა 2,330.8 ათასი ლარით (აუთვისებლობა 614.2 ათასი ლარი). ეს განპირობებულია იმით, რომ მთელი რიგი სარემონტო სამუშაოები დღესაც მიმდინარეობს და შემსრულებელთან ანგარიშსწორება არ არის დამთავრებული. შეკეთდა ტაბახმელას, დიდი ლილოს, ვაკე-საბურთალოს I განყოფილების, ძველი თბილისის დანაყოფების, მთავარი სამმართველოს სამრიგო ნაწილის და სხვა შენობები. ასევე შექმნილია იქნა სხვადასხვა ინვენტარი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

კულტურის დაწესებულებების 9 თვის გეგმიდან (2,881.4 ათასი ლარი) ვალდებულება აღებულია 2,345.0 ათას ლარზე, დაფინანსებულია 2,266.4 ათასი ლარით. მათ შორის საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 31 სამუსიკო სკოლა 2560 საშტატო ერთეულით, 11 მუზეუმი 84 საშტატო ერთეულით, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრი (ყოფ ბიბ-ბენდი), პანთეონები, ქალაქის ზოოპარკი, თბილისის პარკები.

სამუსიკო სკოლები 2007 წლის იანვრიდან დაფუძნდნენ არასამწარმეო (არაკომერციული) ორტიფულ პირებზე, როგორც ხელოვნების სკოლები. შესაბამისად, ქობილისის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო მათი დაფინანსება მხოლოდ პირველ კვარტალში. გაწეული ხარჯებიდან 225.8 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე მიდის, 45.3 ათასი ლარი დამატარებელიდან ანარიცხებზე, ხოლო 24.3 ათასი ლარით დაფინანსდა სხვა საქონელი და მომსახურება, მათ შორის კომუნალური მომსახურებისათვის - 16.4 ათასი ლარი.

მუზეუმებისათვის 2007 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამული დაფინანსება. აქედან საანგარიშო პერიოდში გეგმა შეადგენს 160.0 ათას ლარს, ხარჯი გაიწია 136.0 ათასი ლარის ოდენობით. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრი (ბიბ-ბენდი) და პანთეონები დაფინანსებულია შესაბამისად: 629.5 ათასი ლარის, 100.1 ათასი ლარის, და 27.2 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან, ზოოლოგიური პარკისა და თბილისის პარკებისათვის გახარჯულია შესაბამისად 970.9 ათასი და 107.3 ათასი ლარი.

2007 წელს სპორტული სკოლები, ოლიმპიური და სპეციალიზირებული სპორ-

№ 220-225. კარასკვი. 16 ნოემბერი, 2007 წელი.



ტული ცენტრები დაფუძნდნენ არასამეწარმეო თურიდიულ პირებად და საკუთარი შემოსავლებიდან ახდენენ მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას.

სესხის მომსახურების ხარჯებზე 9 თვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 4,397.7 ათასი ლარი, დაფინანსებულია 4,396.0 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარე საინვესტიციო პროექტები.

ასევე მთლიანად იქნა გადარიცხული ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკიდან აღებული კრედიტის მომსახურების თანხა 1,173.6 ათასი ლარი.

ქობულეთში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა მატერიალური ზარალის ნაწილობრივი ანაზრაურების ხარჯებზე გადარიცხულია 576.4 ათასი ლარი.

ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის საკომუნენაციო თანხებიდან გადარიცხულია 727.0 ათასი ლარი (გეგმა 730.0 ათასი ლარი).

შპს "თბილისის წყალი"-ს საწვდომი კაპიტალის შესავსებად ქ. თბილისის 2007 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული საანგარიშო პერიოდის გეგმა 1,285.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია მთლიანად.

რაიონული ბიუჯეტების 9 თვის დაზუსტებული გეგმის 65,655.3 ათასი ლარის, შესრულებამ 45,630.4 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის:

რაიონული ბიუჯეტების 9 თვის დაზუსტებული გეგმის 65,655.3 ათასი ლარის, შესრულებამ 45,630.4 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: (ათას ლარებში)

Table with 5 columns: დასახელება, 9 თვის დაზუსტებული გეგმა, 9 თვის ფაქტი, სხვაობა (+/-), %

რაიონული ბიუჯეტების ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებზე 3,188.6 ათასი ლარია, აქედან შრომის ანაზრაურებაზე მიმართულია 1,740.1 ათასი ლარი.

მთლიან ხარჯებში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს განათლების ხაზით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯებს.

სოციალური დაცვის ხარჯები დაფინანსებული იქნა 2,732.8 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასაიდლოებით მომსახურება (რაიონებში ფუნქციონირებს 27 უფასო სასაიდლო, 1 კაცის მომსახურება დღეში შეადგენს 1 ლარს).

საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა დაფინანსებულია 18,114.0 ათასი ლარით;

კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 7,273.8 ათასი ლარით, აქედან მწვანე ნარგავთა მოვლა დაფინანსებულია 1,821.7 ათასი ლარით.

ცალკეული რაიონული ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლები შემდეგია:

გლდან-ნაძალადევის რაიონის 9 თვის დაზუსტებული გეგმა 8,993.9 ათასი ლარი, დაფინანსებულია 6,423.3 ათასი ლარით ანუ 71%-ით, მათ შორის:

გამგობის ხარჯების საანგარიშო პერიოდის გეგმა 671.8 ათასი ლარი დაფინანსებულია 555.7 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაზუსტებული გეგმა შეადგენს 5,260.4 ათას ლარს, ვალდებულება აღებულია 4,217.7 ათას ლარზე და ხაკასო ხარჯი - 3,769.6 ათასი ლარი.

სოციალური დაცვის ხარჯები დაფინანსებულია 691.6 ათასი ლარით, მათ შორის: უფასო სასაიდლოებით მომსახურება (რაიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 7 უფასო სასაიდლო, სადაც ყოველდღიურად იკვებება 2320 უმწეო მოქალაქე) - 645.1 ათასი ლარი.

აგარიული საბინაო ფონდის კაპიტალურ ხარჯებში გათვალისწინებული 392.4 ათასი ლარიდან, ვალდებულება აღებულია 290.2 ათას ლარზე და ხარჯი შეადგენს 264.9 ათას ლარს.

რაიონის კეთილმოწყობის ხარჯების დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1,862.8 ათასი ლარს, ვალდებულება აღებულია 1,290.3 ათასი ლარზე და ხაკასო ხარჯი - 1,141.4 ათას ლარს.

დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის 2007 წლის ბიუჯეტის 9 თვის ხარჯების დაზუსტებული გეგმა 4,340.4 ათასი ლარი, დაფინანსებულია 3,235.0 ათასი ლარით ანუ 75%-ით, მათ შორის:

გამგობის ხარჯების 9 თვის გეგმა 464.8 ათასი ლარი - 437.8 ათასი ლარით. აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზრაურებაზე - 266.7 ათასი ლარი.

9 თვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახად გეგმით გათვალისწინებული 2,112.9 ათასი ლარიდან ხარჯი გაწეულია 1,632.1 ათასი ლარით.

სოციალური დაცვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული 282.5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 222.0 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასაიდლოებით მომსახურება (რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასაიდლო და იკვებებოდა 900-ზე მეტი უმწეო მოქალაქე) - 205.2 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში გადაუდებელი აგარიული საბინაო ფონდის კაპ. შეკეთების გეგმა 356.2 ათასი ლარი დაფინანსებულია 212.4 ათასი ლარით ანუ 60%-ით.

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 2007 წლის 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 1,124.0 ათასი ლარიდან, დაფინანსებულია 730.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 65%-ს შეადგენს.

№ 220-225. პარასკევი. 16 ნოემბერი. 2007 წელი.



№ 220-225 კატალოგი 16 გომეზაკილი 2007 წელი

ათას ლარს, ხოლო სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების - 536.0 ათას ლარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები წარუარდა დიდძალ ტყე-პარკს. კეთილმოწყობით ვახუშტის ხიდის მიმდინარე ტერიტორია. აღდგენილ იქნა მაიაკოვსკის ძეგლთან არსებული შადრევანი და კეთილმოწყობით მიმდებარე სკვერი. ლიკვიდირებული იქნა ცაიშის ქუჩაზე არსებული ნაგავსაყრელი და კეთილმოწყობით ტერიტორია. შეკეთდა ოთხი არსებული სპორტული მოედანი, რვა ბაღ-სკვერი. მოტორი და გადაბედილი იქნა რაიონის ტერიტორიაზე არსებული ავარიული ხეები. კუკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე აღდგენილია ავარიული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები. გაკეთდა სამი ახალი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. შეკეთდა ქუჩების დამაკავშირებელი ავარიული საცაღფეხო კიბეები. მიმდინარეობდა უპატრონო უხედაზვადელო ცხოველების დაჭერა. ოთხ მისამართზე მოქმედებდა მუშაობის უზრუნველყოფის კვლეები. წერეთლის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედებდა მოსახვედრელი ადგილი. დ/მ V კვარტლის V კორპუსთან მოქმედებდა ხანიაღვრე ქსელი. გაკეთდა ახლადდაქორწინებულთა სკვერი. შეკეთდა ექვსი ქუჩა.

გაკვეთის საბუღალტრო რაიონის 2007 წლის ბიუჯეტის 9 თვის ხარჯების დახეხვებზე - გეგმა 7,304.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 4,983.7 ათასი ლარით ანუ 68%-ით. გამგეობის ხარჯების 9 თვის გეგმა 488.5 ათასი ლარი - 472.5 ათასი ლარით. აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე - 300.9 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 22.1 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებზე - 40.6 ათასი ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 25.3 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 8.8 ათასი ლარი; კაპიტალური ხარჯებზე - 14.6 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 3,334.5 ათასი ლარიდან ხარჯი გაწეულია 2,233.8 ათასი ლარით ანუ 67%. რაიონში ფუნქციონირებს 35 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიმართა 1,008.0 ათასი ლარი, ანარიცხებზე - 201.6 ათასი ლარი, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე - 957.1 ათასი ლარი. მათ შორის: ოფისის ხარჯებზე - 14.6 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებზე - 308.7 ათასი ლარი, კვების ხარჯებზე - 629.2 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 4.6 ათასი ლარი, კაპიტალურ ხარჯებზე - 67.1 ათასი ლარი. აქედან ხარჯები გაწეულია გზის გამართობაზე - შესაძენად და საბავშვო ბაღებში ბუნებრივი აირის შეყვანის სამუშაოების შესრულებაზე.

სოციალური დაცვის ხარჯები დაფინანსებული იქნა 419.9 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასაიდლოებით მომსახურება (რაიონში ფუნქციონირებს 7 უფასო სასაიდლო, ემსახურება 1575 კაცს, 1 კაცის მომსახურება დღეში შეადგენს 1 ლარს) - 377.9 ათასი ლარით; გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები - 42.0 ათასი ლარით (მომსახურება გაეწია 120 ოჯახს).

საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 353.3 ათასი ლარი დაფინანსებულია 315.0 ათასი ლარით ანუ 89.0 %-ით.

კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 1,542.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,636.7 ათასი ლარი) 59 %-ია.

მწვანე ნარგავბათა მოვლის გეგმა 582.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 420.8 ათასი ლარით ანუ 72 %-ით. ხარჯები ძირითადად გაწეულია ვაკე-საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე აგროტექნიკური სამუშაოების შესრულებაზე. მწვანე ზონის ექსპლუატაციასა და მომსახურებაზე.

გზების მოვლა-შეკეთება დაფინანსებულია - 518.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (711.0 ათასი ლარი) 72.9%-ია.

კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებების ხარჯების გეგმა 1,343.7 ათასი ლარი დაფინანსებულია 602.9 ათასი ლარით ანუ 45 %-ით. ხარჯები გაწეულია მრგვალი ბაღის ღობის აღდგენაზე, სააკადის მოედანზე სარწყავი სისტემის აღდგენაზე, უხედაზვადელო ცხოველების დასაჭერად, ხეების გადაბედავაზე, ჯიქიას ქ. №18-ში მიწისძვრით დაზარალებულთა შერობაში შიდა სარემონტო სამუშაოების ჩახატარებლად, შადრევანების მოვლა-პატრონობაზე და სხვა.

ისანი-სამგორის რაიონის 2007 წლის 9 თვის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 10,136.1 ათას ლარს, დახეხვებული გეგმა განისაზღვრა 11,155.1 ათასი ლარით, რაც დაფინანსებულია 8,551.2 ათასი ლარით ანუ 77%-ით.

გამგეობის ხარჯების დასაფინანსებლად დახეხვებული გეგმით გათვალისწინებული 671.8 ათასი ლარი ფაქტიურად შესრულდა 620.4 ათასი ლარით. მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე მიმართა 318.0 ათასი ლარი; დამქირავებელიდან ანარიცხებზე 63.6 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურებაზე 205.5 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალური ხარჯებზე 33.3 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 6,511.5 ათასი ლარიდან ხარჯი გაწეულია 4,349.8 ათასი ლარით ანუ 67%. რაიონში 53 ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიმართა - 1,758.4 ათასი ლარი, ანარიცხებზე - 351.6 ათასი ლარი, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე - 1,759.2 ათასი ლარი. მათ შორის: კომუნალურ ხარჯებზე - 444.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 14.4 ათასი ლარი, კვების ხარჯებზე - 1,298.6 ათასი ლარი, კაპიტალურ ხარჯებზე - 480.6 ათასი ლარი.

სოციალური დაცვის ხარჯები დაფინანსებული იქნა 1,049.9 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასაიდლოებით მომსახურება - 705.5 ათასი ლარით (რაიონში ფუნქციონირებს 3 უფასო სასაიდლო, 1 კაცის მომსახურება დღეში შეადგენს 1 ლარს); გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები - 37.8 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციოდ გაცემული იქნა - 306.6 ათასი ლარი.

საბინაო ფონდის კაპ. შეკეთების ხარჯების გეგმა 476.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 355.6 ათასი ლარით ანუ 75 %-ით.

კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 2,175.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,329.8 ათასი ლარი) 93 %-ია.

გზების მოვლა-შეკეთება დაფინანსებულია - 815.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (900.2 ათასი ლარი) 90.6%-ია.

მწვანე ნარგავბათა მოვლის გეგმა 595.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 570.8 ათასი ლარით ანუ 96 %-ით.

კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებების ხარჯების გეგმა 834.6 ათასი ლარი დაფინანსებულია 789.2 ათასი ლარით.

ძველი თბილისის რაიონის 2007 წლის 9 თვის დახეხვებული გეგმა 32,152.5 ათასი ლარი, დაფინანსებულია 21,294.0 ათასი ლარით ანუ 66%-ით, მათ შორის:

გამგეობის ხარჯების საანგარიშო პერიოდის გეგმა 904.3 ათასი ლარი დაფინანსებულია 762.0 ათასი ლარით. აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე - 331.5 ათასი ლარი, დამქირავებელიდან ანარიცხებზე - 66.3 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 35.8 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებზე - 29.8 ათასი ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 14.7 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 18.0 ათასი ლარი, კაპიტალური ხარჯებზე - 265.9 ათასი ლარი;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დახეხვებული გეგმა შეადგენს 3,549.4 ათას ლარს, ვალდებულება აღებულია 2,588.7 ათას ლარზე და სხვადასხვა ხარჯი შეადგენს 2,134.1 ათას ლარს. (რაიონში ფუნქციონირებს 36 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) კვებისა და კაპიტალური ხარჯებიდან ბავშვთა კვებაზე და ხარჯულია 559.3 ათასი ლარი, ერთი ბავშვის დღიური ნორმა შეადგენს დღეში 1 ლარს და 60 თეთრს, კაპიტალური ხარჯი - 89.8 ათასი ლარი;

სოციალური დაცვის ხარჯები დაფინანსებულია 347.2 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასაიდლოებით მომსახურება უმწესო მოქალაქეებზე შეადგენს 254.6 ათას ლარს, (რაიონში ფუნქციონირებს 3 უფასო სასაიდლო, 1 კაცის მომსახურება დღეში შეადგენს 1 ლარს), გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები - 17.2 ათასი ლარი; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციოდ თანხა 75.4 ათასი ლარი.

ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალურ ხარჯებში გათვალისწინებული 553.8 ათასი ლარიდან, ვალდებულება აღებულია 135.2 ათას ლარზე და ხარჯი შეადგენს 135.0 ათას ლარს. ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა - გამაგრებითი სამუშაოებისათვის გახარჯულია 27.3 ათასი ლარი, დაზიანებული სახურავების აღდგენითი სამუშაოებისათვის - 41.9 ათასი ლარი, ავარიული წყალ-კანალიზაციის საერთო სარგებლობის შიდა სისტემების შეკეთებისთვის - 27.1 ათასი ლარი; სადრენაჟე სისტემების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის - 38.8 ათასი ლარი. რაიონის კეთილმოწყობაზე დახეხვებული გეგმა შეადგენს 1,808.0 ათას ლარს. გაწეული ხარჯი კი - 1,084.6 ათასი ლარს. მათ შორის: გზების მოვლა-შეკეთების ხარჯია 408.3 ათასი ლარი, მწვანე ნარგავბათა მოვლის ხარჯი - 402.0 ათასი ლარი, სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯი - 274.2 ათასი ლარი.

ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა რესტავრაცია და რეკონსტრუქციის ხარჯების დახეხვებული გეგმა 24,740.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 16,831.0 ათასი ლარით. (პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია რუსთაველის გამზირზე მდებარე სახლების რეკონსტრუქციის პროექტის ღირებულება; რუსთაველის გამზირზე სახლების ფასადების რეკონსტრუქციის ხარჯთაღრიცხვის შედგენა, რესტავრაციის სამუშაოები; გუდიაშვილის მოედნის რეკონსტრუქციის სამუშაოები; პუშკინის სკვერის, დედაენის, 9 მარტის და 9 აპრილის ბაღების მოწყობა; ღამთაშობის, ღობეების, საყვავილეების დამზადება; მამადავითოშვილის სახელობის რეკონსტრუქციის სამუშაოები; ტურისტული მარშრუტი „ნარიყალას“ აღდგენითი სამუშაოები; გორგასლის მოედნის ქვეშ გალერეა-გვირაბის სამშენებლო სამუშაოები და სხვა).

დიდგორის რაიონის 2007 წლის ბიუჯეტის 9 თვის ხარჯების დახეხვებული გეგმა 1,709.3 ათასი ლარი, დაფინანსებულია 1,143.2 ათასი ლარით ანუ 67%-ით, მათ შორის:

გამგეობის ხარჯების 9 თვის დახეხვებული გეგმა 415.7 ათასი ლარი - 340.1 ათასი ლარით. აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე - 215.1 ათასი ლარი, დამქირავებელიდან ანარიცხებზე - 43.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 18.5 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებზე - 25.7 ათასი ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 21.2 ათასი ლარი, (საწვავის შესაძენად - 14.3 ათასი ლარი, ხოლო ავტომანქანის შეკეთებისათვის - 5.1 ათასი ლარი, და ავტოს გადაზიდვისათვის - 1.8 ათასი ლარი), სხვა ხარჯებზე (თანხა ძირითადად მოხმარდა 9 მაისის ღონისძიებებს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სარეკონსტრუქციო მოსაკრებელს და სატენდერო მოსაკრებელს) - 12 ათასი ლარი, კაპიტალურ ხარჯებზე (შექმნილია 3 მობილური ტელეფონი და ხაოფისი ინვენტარი) - 15.4 ათასი ლარი;

2007 წლის 9 თვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახად დახეხვებული გეგმით გათვალისწინებული 476.2 ათასი ლარიდან ხარჯი გაწეულია 201.7 ათასი ლარით, ანუ 42%-ით. (რაიონში აქამდე ფუნქციონირებს 6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება). აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიმართა 83.2 ათასი ლარი, დამქირავებელიდან ანარიცხებზე - 16.7 ათასი ლარი, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე - 75.3 ათასი ლარი. მათ შორის: ოფისის ხარჯებზე - 16.8 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებზე - 13.0 ათასი ლარი, საშენობის ხარჯებზე - 1.5 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის ხარჯებზე - 7.0 ათასი ლარი, კვების ხარჯებზე - 37.0 ათასი ლარი, კაპიტალურ ხარჯებზე (ტაბახმულის ბაგაბაღის კაპიტალური შეკეთებისათვის - 9.5 ათასი ლარი, კოჯრის ბაგა-ბაღისათვის კი - 17.0 ათასი ლარი) - 26.5 ათასი ლარი.

სოციალური დაცვის ხარჯების დახეხვებული გეგმა 4.1 ათას ლარიდან (მოიცავს გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებების ხარჯებს, დაკმაყოფილებულია ომის ვეტერანთა 6 განცხადება) დაფინანსებულია 2.1 ათასი ლარით;

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 2007 წლის 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 813.4 ათასი ლარიდან, დაფინანსება შეადგენს - 599.3 ათასი ლარს. მათ შორის გზების მოვლა-შეკეთების ხარჯები შეადგენს 345.1 ათას ლარს, (კოსტავას ქუჩა - 17.6 ათასი ლარი, სოფ. ახალდაბის გზა - 26.2 ათასი ლარი, თამარ მჭედის ქუჩა - 29.4 ათასი ლარი, ჭავჭავაძის ქუჩა - 3.6 ათასი ლარი, აღმაშენებლის ქუჩა - 2.0 ათასი ლარი, სულხან-საბას ქუჩა - 7.4 ათასი ლარი, სტალინის ქუჩა - 20.9 ათასი ლარი, წაყისი - 63.5 ათასი ლარი, ტაბახმელა - 118.0 ათასი ლარი, კიკეთი 1 მაისის ქუჩა - 41.6 ათასი ლარი, კოჯორში ტროტუარის კეთილმოწყობა - 14.9 ათასი ლარი), გამწვანების ხარჯები - 21.1 ათას ლარს, სხვადასხვა კეთილმოწყობის ხარჯები (ძირითადად მოხმარდა ბაღებისა და სკვერების აღდგენა-რეაბილიტაციას, დაბა წყნეთის გზის მანქანების აღდგენას, წყნეთის სასაფლაოს ღობის მოწყობას, ხეების გადაბედავას და სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებებს) - 233.1 ათასი ლარი. აქამდე მიმდინარეობს კოჯრის შადრევანის და სატენდერო სადგურის სამშენებლო სამუშაოები. რომლისთვისაც ავანსად გადაირიცხა 15.0 ათასი ლარი.

ქ. თბილისის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მეოფ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს 2007 წლის 1 იანვრისათვის კრედიტორული დავალიანებები ყრიცხვით დათვალიერებული თანხების ფარგლებში დაიფარა 184.9 ათასი ლარი და 2007 წლის 1 ოქტომბრისათვის დავალიანება 7271.8 ათასი ლარია, რაც წინა წლების დავალიანებებს შეადგენს.

ქ. თბილისის ბიუჯეტის შესრულების მანქანებზე წარმოდგენილია შესაბამისად დანართი 1-20-ში.

მთავრობამ უნდა აღმოფხვრას ის ზიანი, რომელიც თვითონვე მიიყენა თავისი მოქმედებით, გააუქმოს საგანგებო მდგომარეობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობაზე დაწესებული შეზღუდვები



© რას წერენ, რას აზრობენ ჩვენცა

ჩვენს საქართველოს - როგორ უზინარჩუნოს დემოკრატიისკენ აღებულ კურსს

ბას ულ კვირას საქართველომ, როგორც იტყვიან, შოკი მოგვარა მთელ მსოფლიოს, როცა გამოაცხადა, რომ ქვეყანაში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა. „ვარდების რევოლუციის“ დემოკრატიული ექსპერიმენტები, რომელიც ამ პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანაში ხორციელდებოდა, ნელ-ნელა გაიფანტა ცრემლსადენი გაზის ღრუბელში. მშვიდობიანი დემონსტრაციები ძალადობრივ აქციასა და მთავრობის დამხობისათვის მოწოდებებში გადაიზარდა. მას შემდეგ კი, რაც პოლიციამ წარუმატებლად სცადა დემონსტრანტებისგან გაენმინდა თბილისის მთავარი პროსპექტი, ქვეყანაში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა, რომლის ფარგლებშიც დახურეს ასევე ანტისამთავრობო ტელეარხი „იმედი“. ყოველივე ამის საბაზად დაასახელეს ის, რომ „იმედის“ ეთერიდან ისმოდა მოწოდებები ხელისუფლების დამხობისათვის.

ისე მოხდა, რომ თბილისში ჩემი ჩასვლა დაემთხვა საგანგებო მდგომარეობის შემოღების მომდევნო დღეებს. და როგორც მრავალმა დასავლელმა, მეც ასეთი კითხვა დამებადა: რა დაემართა საქართველოს ქარიზმატულ პრეზიდენტს მიშა სააკაშვილს? როგორ მოხდა, რომ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებმა თავიანთი გაუზარებელი მოქმედებით იმდენი ქნეს, რომ ქვეყანა პაკისტანთან და ბირმასთან ერთად ერთ სიბრტყეში დააყენეს?

ამ კითხვაზე პასუხს ვეძებდი მთელი იმ დღეების განმავლობაში, რაც ვიმყოფებოდი საქართველოში, ვხვდებოდი მთავრობის, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს, და შემძლია გითხრა, რომ გადწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ მიღებული იყო არა ნაუცბათევად, არამედ ხანგრძლივი და დაძაბული ფიქრისა და მსჯელობის შედეგად. ეს არის კაბინეტის კოლექტიური გადაწყვეტილება, და მის თანავტორთაგან მრავალი განეკუთვნება იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელიც დემოკრატიული სინამდვილეში, ალბათ, ეჭვი არავინ უნდა შეიტანოს. და პრაქტიკულად არავინ, ვისთანაც მომიხია გასაუბრება, არ გამოთქვამდა სინანულს ასეთი გადაწყვეტილების მიღების გამო.

საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, კაბინეტის წევრებს მიაჩნდათ, რომ ჯერ კიდევ არცთუ ისე მყარ ქართულ დემოკრატიას დაემუქრა საფრთხე. ბევრი ფიქრობდა, რომ სახელმწიფომ გადადგა დიდი ნაბიჯი წინ, როცა ყველას უჩვენა, რომ შეუძლია თავის დაცვა. ჩვენ დასავლეთში ძალზე კომფორტულ გარემოში ვცხოვრობთ საიმი-სოდ, რომ ვცინებთ, თუ რას ნიშნავს ისეთი ქვეყნის მართვა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში თითქმის არშემდგარ სახელმწიფოდ ითვლებოდა. დი-ახ, ამ ადამიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო სწორი, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც უნდა შევიგნოთ, თუ როგორი იყო ყოველივე ამის მოტივაცია.

და მეორეც, არსებობს კიდევ მოსკოვი, რომელსაც სურს ყოველმხრივ შეაფერხოს საქართველოში დემოკრატიული განვითარება და შეცვალოს ამ ქვეყნის რეჟიმი. ჯერჯერობით არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე: მონაწილეობდა თუ არა მოსკოვი საქართველოში ხელისუფლების დამხობისათვის ამ ცოტა ხნის წინათ გამოთქმული მოწოდებების დაგეგმვაში. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ასეთი რამ იყო, და დასძინს, რომ მზად არის წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებანიც. თუმცა, თბილისი ისე დავტოვე, რომ რაიმე დამაჯერებელი მტკიცებულებანი არ მინახავს.

თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს მოსკოვს ყოველივე ამასთან არანაირი კავშირი არ ჰქონოდა. საქართველოს საშინაო საქმეებში გამუდმებული ჩარევით რუსეთმა ქვეყანაში შექმნა „აღსაქმებელი ციხე-სიმაგრის“ ატმოსფერო. თვით იმის მიუხედავადაც კი, რომ ოპოზიციის უმეტესობა არანაკლებ ანტირუსულადაა განწყობილი, ვიდრე თვით მთავრობა, ოპოზიციონერთა ნაწილი მაინც მხარს უჭერს რუსეთს, რუსული „მეზუთე კოლონის“ კი, საერთოდ, ყველას ეშინია. ერთხელ შენრი კისინჯერმა შენიშნა, რომ თვით პარანოიკსაც შეიძლება ჰყავდეს რეალური მტრები. საქართველოს კი სადღეისოდ ისეთი მტერი ჰყავს, რომ ამაზე რეალური ძნელიც კია რაიმე მოიფიქროს კაცმა.

მიმდინარე მოვლენების შესახებ ვესაუბრე მიხეილ სააკაშვილს. მისთვის სამაგალითოა სამი მოღვაწე: თურქეთის ლიდერი ქემალ ათათურქი და მისი პროგრამა საზოგადოების ვესტერნიზაციის შესახებ, ლეგენდარული მეფე დავით აღმაშენებელი, რომელმაც გააერთიანა ქართველი ხალხი სეპარატიზმის საფრთხის წინაშე და ფრენილ მარშალ მანერჰაიმში, რომელმაც შეძლო რუსული არმიის შეჩერება.

ის ადამიანები, რომლებიც ჩემზე ადრე ჩავიდნენ საქართველოში დასავლეთი ქვეყნებიდან, ყველა როგორც ერთი, უკითხავდა სააკაშვილს დემოკრატიულ ნოტაციებს და აშინებდა იმ ზიანი, რომელიც მან თავისი მოქმედებით მიიყენა, როცა ასეთი ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი იყო საქართველოს გადასარჩენად, და ხალხი სწორად გაიგებდა თავისი პრეზიდენტის მოქმედებას. მაინც, რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში? ჯერ ერთი, მთავრობამ უნდა აღმოფხვრას ის ზიანი, რომელიც თვითონვე მიიყენა თავისი მოქმედებით, გააუქმოს საგანგებო მდგომარეობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობაზე დაწესებული შეზღუდვები. ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების გამოძიებისა და ვერდიქტის გამოტანისთვის უნდა დანიშნოს დამოუკიდებელი კომისია. ძალის ზედმეტად გამოყენების ყოველკონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს გამოძიება, დაზარალებულ პირებს უნდა მიეცეთ კომპენსაციები.

